გაერთიანებული ერების ორგანიზაცია CRPD/C/GC/4

კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
პირთა უფლებების შესახებ

გავრცელება: საყოველთაო

25 ნოემბერი, 2016

შედგენილია: ინგლისურ ენაზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

ზოგადი კომენტარი №4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ

I. შესავალი

1. ისტორიულად დახმარების მიმღებად მიჩნეული შშმ პირები ახლა საერთაშორისო სამართლის მიხედვით აღიარებულნი არიან, როგორც უფლების მქონენი. მათ აქვთ განათლების უფლება - დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (1989), მსოფლიო დეკლარაცია „განათლება ყველასათვის“ (1990), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესები (1993), სალამანკას დეკლარაცია და სამოქმედო ჩარჩო (1994) - ყველა მათგანი მოიცავს ზომებს, რომლებიც ემსახურება შშმ პირთა განათლების უფლების გაგებასა და ცნობიერების გაზრდას.

2. ინკლუზია განათლების უფლების მიღწევის გასაღებია. მისი აღიარების პროცესი გაძლიერდა ბოლო 30 წლის განმავლობაში და დაცულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით - პირველი სამართლებრივად სავალდებულო ინსტრუმენტით, რომელიც მოიცავს მითითებას ხარისხიანი ინკლუზიური განათლების კონცეფციაზე. მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი ასევე ადასტურებს ინკლუზიური, ხარისხიანი და სამართლიანი განათლების მნიშვნელობას. ინკლუზიური განათლება უმთავრესია ყველა

მსმენელის, მათ შორის, შშმ პირების მაღალხარისხიანი განათლების, ასევე, ინკლუზიური, მშვიდობიანი და სამართლიანი საზოგადოების განვითარებისათვის. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ანგარიშში, რომელიც შეეხება შშმ პირთა განათლების უფლების თემატურ სწავლებას, აღნიშნულია, რომ მხოლოდ ინკლუზიურ განათლებას შეუძლია უზრუნველყოს შშმ პირთა ხარისხიანი განათლება და სოციალური განვითარება, ასევე, უნივერსალობის გარანტია და დისკრიმინაციის დაუშვებლობა განათლების უფლებაში.[1]

3. მიღწეული პროგრესის მიუხედავად, კომიტეტი შიშობს, რომ ღრმა გამოწვევები მაინც არსებობს. მილიონობით შშმ პირს არ ეძლევა განათლების უფლებით სარგებლობის საშუალება. ბევრი მათგანისთვის განათლება ხელმისაწვდომია მხოლოდ ისეთ დაწესებულებებში, სადაც იზოლირებულნი არიან თავიანთი თანატოლებისაგან და დაბალხარისხიან განათლებას იღებენ.

4. ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლის შშმ პირებს ინკლუზიურ განათლებასთან წვდომაში, შეიძლება ქმნიდეს მრავალი ფაქტორი, მათ შორის:

(a) ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მოდელის გაუაზრებლობა ან განუხორციელებლობა, რომლის მიხედვითაც, თემსა და საზოგადოებაში არსებული ბარიერები უფრო იწვევს იზოლირებას, ვიდრე დარღვევები;

(b) შშმ პირთა მუდმივი დისკრიმინაცია, რაც მოიცავს რეზიდენტულ დაწესებულებებში ხანგრძლივად მცხოვრებთა იზოლაციას და საზოგადოების დაბალ წარმოდგენას მათზე. ეს კიდევ უფრო ამწვავებს და ამყარებს მათთან დაკავშირებულ ცრურწმენებსა და შიშებს;

(c) ცოდნის ნაკლებობა ინკლუზიური და ხარისხიანი განათლებისა და მრავალფეროვნების ბუნებასა და დადებით მხარეებზე, მათ შორის, კონკურენტუნარიანობაზე ყველასთვის ხელმისაწვდომ სწავლებაში. მშობლებთან ურთიერთობის ნაკლებობა; მოთხოვნების მხარდამჭერი რეაგირების ნაკლებობა, რასაც მივყავართ უსაფუძვლო შიშებამდე და სტერეოტიპებამდე, რომ ინკლუზია გააუარესებს განათლების ხარისხს, ან სხვაგვარად ექნება უარყოფითი გავლენა;

[1] იხ. A/HRC/25/29 და Corr.1, პუნქტები 3 და 68.

(d) დეტალიზებული მონაცემებისა და კვლევის ნაკლებობა, რომლებიც აუცილებელია ანგარიშვალდებულებისა და პროგრამის განვითარებისათვის, ხელს უშლის ეფექტიანი პოლიტიკისა და ინტერვენციის პროგრესს ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად;

(e) პოლიტიკური ნების, ტექნიკური ცოდნისა და შესაძლებლობების არარსებობა ინკლუზიური განათლების უფლების განსახორციელებლად, მათ შორის, ყველა სასწავლო პერსონალის უკმარი განათლება;

(f) დაფინანსების შეუსაბამო და არაადეკვატური მექანიზმები წახალისებისა და გონივრული მისადაგების უზრუნველსაყოფად, ასევე, შშმ სტუდენტთა ინკლუზიის, სამინისტროთაშორისი კოორდინაციის, მხარდაჭერისა და მდგრადობისათვის;

(g) სამართლებრივი ზომების ნაკლებობა დარღვევების გამო კომპენსაციის მოთხოვნისათვის.

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა დოკუმენტის ძირითადი პრინციპები უნდა გაითვალისწინონ ინკლუზიური განვითარებისათვის საჭირო ყველა ზომის მიღებისას და უზრუნველყონ, რომ განვითარებადი ინკლუზიური განათლების სისტემის პროცესი და შედეგები შეესაბამებოდეს მე-3 მუხლს.

6. წინამდებარე ზოგადი კომენტარი შეეხება ყველა პირს, ფაქტობრივი თუ აღქმული შეზღუდული შესაძლებლობით. [2] კომიტეტი აღიარებს, რომ ზოგ ჯგუფს მეტად ემუქრება განათლებისგან გარიყვის რისკი (მაგ.: პირები ინტელექტუალური ან მრავლობითი დარღვევებით, ადამიანები სმენისა და მხედველობის შეზღუდვით, პირები აუტიზმის სპექტრით, ან შშმ პირები საგანგებო ჰუმანიტარული დახმარების სიტუაციებში).

7. 4(3) მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაიარონ კონსულტაციები და, წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით, აქტიურად ჩართონ შშმ პირები (მათ შორის, ბავშვებიც) ინკლუზიური საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ყველა ასპექტში. შშმ პირები და, შესაბამისობის მიხედვით, მათი ოჯახები, უნდა აღიარონ პარტნიორებად, და არა უბრალოდ განათლების მიმღებ პირებად.

[2] კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, მუხლი 1(2).

II. 24-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი

8. 24(1) მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა შშმ პირებისთვის ყველა დონეზე უნდა უზრუნველყონ განათლების უფლება ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით. აქ იგულისხმება: სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო და სკოლისშემდგომი განათლება; პროფესიული სწავლებები და სიცოცხლის ბოლომდე სწავლება; ექსტრაკურიკულური და სოციალური აქტივობები ყველა სტუდენტისათვის, მათ შორის, შშმ პირებისთვის, დისკრიმინაციის გარეშე და სხვათა თანასწორად.

9. ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა მოიცავს ცვლილებებს კულტურაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში, ყველა ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში, ინდივიდუალურ სტუდენტთა ცვლადი მოთხოვნებისა და იდენტობების მისადაგებისათვის. ეს ასევე გულისხმობს ჩამოთვლილ შესაძლებლობათა ხელშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის ვალდებულებას და საგანმანათლებლო სისტემის შესაძლებლობათა გაძლიერებას ყველა მსმენელთან კავშირის შესანარჩუნებლად. ინკლუზიური განათლება ფოკუსირებულია თითოეული მსმენელის სრულ და ეფექტიან მონაწილეობაზე, მისაწვდომობაზე, დასწრებასა და მიღწევაზე. ეს განსაკუთრებულად ეხებათ პირებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო გარიყულნი არიან, ან მარგინალიზების რისკქვეშ დგანან. ინკლუზია მოიცავს მაღალხარისხიან ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლებაზე წვდომას დისკრიმინაციის გარეშე და მის განვითარებას. ინკლუზია ცდილობს, საშუალება მისცეს თემებს, სისტემებსა და სტრუქტურებს, რომ შეებრძოლონ დისკრიმინაციას, მათ შორის, მავნებლურ სტერეოტიპებს; ასევე, აღიარონ მრავალფეროვნება, ხელი შეუწყონ მონაწილეობას და ყველასთვის დაძლიონ სწავლებისა თუ მონაწილეობის ბარიერები, შშმ სტუდენტების კეთილდღეობასა და წარმატებაზე ფოკუსირებით. ის საჭიროებს საგანმანათლებლო სისტემების სიღრმისეულ ტრანსფორმირებას ისეთ სფეროებში, როგორიცა: კანონმდებლობა, პოლიტიკა, დაფინანსების მექანიზმები, ადმინისტრირება, დაგეგმვა, განათლების მიცემა და მონიტორინგი.

10. ინკლუზიური განათლება უნდა გავიგოთ, როგორც:

(a) ყველა მსმენელის ფუნდამენტური უფლება. აღსანიშნავია, რომ განათლება არის ინდივიდუალური მსმენელის უფლება, ბავშვების შემთხვევაში კი - მშობლის/მომვლელის უფლება.

მშობლის პასუხისმგებლობები უნდა მოერგოს ბავშვის უფლებებს;

(b) პრინციპი, რომელიც აღიარებს ყველა სტუდენტის კეთილდღეობას, პატივს სცემს მათ თანდაყოლილ ღირსებასა და ავტონომიას და აღიარებს ინდივიდთა მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობას, რომ ეფექტიანად ჩაერთონ და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

(c) ადამიანის სხვა უფლებების განხორციელება. ეს არის უმთავრესი საშუალება, რომლის მეშვეობითაც შშმ პირებს შეუძლიათ თავის ამოყვანა სიღარიბიდან, სრულად მონაწილეობა თემში და დაცვა ექსპლუატაციისაგან. [3] ის მნიშვნელოვანია ინკლუზიური საზოგადოების ჩამოსაყალიბებლადაც;

(d) განათლების უფლების ხელშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის განგრძობითი და პროაქტიული ვალდებულების შესრულება და მისი შედეგი. რეგულარული სკოლების კულტურის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ცვლილებებთან ერთად, ეს არსებითია ყველა სტუდენტის მიმართ მისადაგებისა და ეფექტიანი ჩართვისათვის.

11. კომიტეტი ხაზს უსვამს გარიყვას, სეგრეგაციას, ინტეგრაციასა და ინკლუზიას შორის განსხვავებათა აღიარებას: გარიყვაა, როდესაც სტუდენტს პირდაპირ ან ირიბად ეთქმის უარი ან ეშლება ხელი ნებისმიერი ფორმით განათლების წვდომაზე; სეგრეგაცია ნიშნავს შშმ სტუდენტებისთვის ცალკე გარემოს გამოყოფას, რომელიც მორგებულია ან გამოიყენება კონკრეტული ან რამდენიმე საჭიროების საპასუხოდ, სხვა სტუდენტებისაგან იზოლირებულად; ინტეგრაცია არის შშმ პირთა მოთავსება ჩვეულებრივ საგანმანათლებო დაწესებულებებში, იმ გაგებით, რომ მათ შეუძლიათ აღნიშნული ინსტიტუტების სტანდარტიზებულ მოთხოვნებზე მორგება. [4] ინკლუზია მოიცავს სისტემატურ რეფორმას, რომელიც გულისხმობს მოდიფიკაციასა და ცვლილებებს შინაარსში, სასწავლო მეთოდებში, მიდგომებში, სტრუქტურებსა და სწავლებების სტრატეგიებში, რათა შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტებისათვის უზრუნველყოს თანაბარი და კომბინირებული სასწავლო გამოცდილება და გარემო. ეს გარემო საუკეთესოდ უნდა პასუხობდეს მათ მოთხოვნილებებსა და პრიორიტეტებს. შშმ სტუდენტთა

[3] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №13 (1999) განათლების უფლების შესახებ.

[4] იხ. A/HRC/25/29 და Corr.1, პუნქტი 4, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლება განათლებაზე: უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ინკლუზიური განათლებისადმი* (ჟენევა, 2012).

ჩვეულებრივ კლასებში მოთავსება, მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო სტრატეგიების შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებების გარეშე, არ ნიშნავს ინკლუზიას. გარდა ამისა, ინტეგრაცია ავტომატურად არ იძლევა სეგრეგაციიდან ინკლუზიაზე გადასვლის გარანტიას.

12. ინკლუზიური განათლების ძირითადი მახასიათებლებია:

(a) „მთლიანი სისტემის“ მიდგომა: განათლების სამინისტროებმა ყველა რესურსი უნდა ჩადონ ინკლუზიური განათლების განვითარებისათვის, ასევე, ინსტიტუციურ კულტურაში, პოლიტიკასა და პრაქტიკებში აუცილებელი ცვლილებების განსახორციელებელად.

(b) „მთლიანი საგანმანათლებლო გარემო“: აუცილებელია საგანმანათლებლო ინსტიტუტების კომიტირებული ხელმძღვანელობა ყველა სფეროში და ყველა დონეზე ინკლუზიური განათლებისთვის საჭირო კულტურის, პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოსადგენად. აქ იგულისხმება საკლასო სწავლება და ურთიერთობები; სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრები; მასწავლებელთა ზედამხედველობა და საკონსულტაციო მომსახურებები; სამედიცინო დახმარება; სასკოლო მოგზაურობები; საბიუჯეტო გადანაწილებები; შშმ და შეზღუდვის არმქონე პირთა მშობლებთან ურთიერთობები; ადგილობრივ თემსა და ფართო საზოგადოებასთან ინტერაქცია;

(c) „მთლიანი პიროვნების“ მიდგომა: ამ მიდგომით აღიარებულია თითოეული პირის შესაძლებლობა, რომ ისწავლოს; ასევე, ყველა მსმენელისათვის, მათ შორის, შშმ პირებისთვის, ყალიბდება მაღალი მოლოდინები. ინკლუზიური განათლება მოიცავს მოქნილ საგანმანათლებლო პროგრამას - სხვადასხვა შესაძლებლობაზე, მოთხოვნასა და სასწავლო ტიპზე ადაპტირებული მეთოდების შექმნას. ეს მიდგომა გულისხმობს მხარდაჭერას, გონივრულ მისადაგებასა და ადრეულ ჩარევას, რათა ყველა მსმენელს შეეძლოს თავისი პოტენციალის განხორციელება. სასწავლო აქტივობების დაგეგმვისას მსმენელთა შესაძლებლობებსა და მიზნებზე უფრო მეტი ყურადღება მახვილდება, ვიდრე შინაარსზე. „მთლიანი პიროვნების“ მიდგომა მიზნად ისახავს სეგრეგაციის დასრულებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური სწავლებით, ასევე, შესაბამისი მხარდაჭერით მისადგომ სასწავლო გარემოში. საგანმანათლებლო სისტემამ უნდა მოახერხოს პერსონალიზებული საგანმანათლებლო რეაგირება და პირიქით სტუდენტებისაგან არ მოელოდეს სისტემაზე მორგებას;

(d) მხარდაჭერილი მასწავლებლები, მათ შორის, შშმ პედაგოგები: ყველა მასწავლებელი და სხვა პერსონალი იღებს განათლებას და გადის ტრენინგებს, რომლებიც სჭირდებათ ძირეული ღირებულებებისა და კომპეტენციების შესაძენად, რათა მოერგონ ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს. ინკლუზიური კულტურა ქმნის მისაწვდომ და მხარდამჭერ სივრცეს, რომელიც ხელს უწყობს კოლაბორაციას, ინტერაქციასა და პრობლემების მოგვარებას მუშაობისას;

(e) მრავალფეროვნების პატივისცემა და ფასი: სასწავლო თემის ყველა წევრი მიღებულია თანასწორად და თანაბრად უნდა სცემდეს პატივს მრავალფეროვნებას, ისეთი მახასიათებლების მიუხედავად, როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობა, რასა, კანის ფერი, სექსი, ენა, კულტურა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობა, ქონება, დაბადება, ასაკი ან სხვა სტატუსი. ყველა სტუდენტმა უნდა შეიგრძნოს, რომ არის საზოგადოების ღირებული, დაფასებული წევრი და მის ხმას უსმენენ. საჭიროა ეფექტიანი ზომების მიღება სასტიკი მოპყრობისა და ბულინგის პრევენციისათვის. ინკლუზია ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას სტუდენტებთან;

(f) სწავლაზე მორგებული გარემო: ინკლუზიური სასწავლო გარემო არის მისაწვდომი გარემო, სადაც ყველა თავს გრძნობს უსაფრთხოდ, მხარდაჭერილად და სტიმულირებულად; ნებისმიერს შეუძლია საკუთარი შეხედულების გამოხატვა და ძლიერი აქცენტი კეთდება სტუდენტთა ჩართვაზე პოზიტიური სასკოლო თემის შექმნაში. ასეთ გარემოში აღიარებულია სწავლება თანატოლთა ჯგუფში, დადებითი ურთიერთობების, მეგობრობისა და მიმღებლობის თანხლებით;

(g) ეფექტიანი გადასვლა (ტრანზიცია): შშმ მსმენელები იღებენ მხარდაჭერას, რათა ეფექტიანად გადავიდნენ სკოლაში სწავლის ეტაპიდან პროფესიულ თუ სკოლისშემდგომ განათლებასა და, საბოლოოდ, დასაქმებაზე. ასეთ გარემოში ვითარდება მსმენელთა შესაძლებლობები და თავდაჯერებულობა. მათ უზრუნველყოფილი აქვთ გონივრული მისადაგება, შეფასებებისა და გამოცდების დროს ეპყრობიან თანასწორად, მათი შესაძლებლობები და მიღწევები აღიარებულია სხვათა თანასწორად;

(h) პარტნიორობის აღიარება: მასწავლებელთა ასოციაციები, სტუდენტთა გაერთიანებები და ფედერაციები, შშმ პირთა ორგანიზაციები, სასწავლო საბჭოები, მშობელთა და პედაგოგთა საბჭოები და სკოლის სხვა მოქმედი მხარდაჭერის ჯგუფები (ფორმალურიც და არაფორმალურიც), ყველა წახალისებულია, რომ აამაღლონ ცოდნა და ცნობიერება შეზღუდულ შესაძლებლობაზე. მშობლების ან მომვლელების ჩართვა

საზოგადოებაში მიიჩნევა საშუალებად, რომელიც ხელს უწყობს რესურსების შექმნასა და სიძლიერეს. ურთიერთობა სასწავლო გარემოსა და ფართო საზოგადოებას შორის უნდა აღიარონ გზად ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ;

(i) მონიტორინგი: როგორც თანმხლები პროცესი, რეგულარულად უნდა განხორციელდეს ინკლუზიური განათლების მონიტორინგი და შეფასება, რათა არ მოხდეს არც სეგრეგაცია და არც ინტეგრაცია (ფორმალურად თუ არაფორმალურად). 33-ე მუხლის შესაბამისად, მონიტორინგმა უნდა მოიცვას შშმ პირები, მათ შორის, ბავშვები, და ის ადამიანები, რომელთაც სჭირდებათ ინტენსიური დახმარება (მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით), ასევე, შშმ პირების მშობლები ან მომვლელები. საჭიროა შეზღუდული შესაძლებლობის ინკლუზიური ინდიკატორების შემუშავება და გამოყენება, 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესაბამისად.

13. განათლებაში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენციის (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) შესაბამისად, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 24(1) მუხლის ასამოქმედებლად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ განათლების უფლება ადამიანებს ჰქონდეთ დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე. მათ უნდა აკრძალონ ყველა სახის დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და თითოეული შშმ პირი თანაბრად და ეფექტიანად დაიცვან ნებისმიერი მიზეზით დისკრიმინაციისაგან. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ შშმ პირები შეიძლება წააწყდნენ ინტერსექციურ დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის, გენდერის, რელიგიის, სამართლებრივი სტატუსის, ეთნიკური წარმოშობის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის ან ენის საფუძველზე. გარდა ამისა, შესაძლოა მშობლები, და-ძმა და სხვა ნათესავებიც გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი ურთიერთკავშირის ნიადაგზე. ყველა ფორმის დისკრიმინაციის დასარეგულირებლად საჭირო ზომები მოიცავს სამართლებრივი, ფიზიკური, საკომუნიკაციო და ლინგვისტური, სოციალური, ფინანსური თუ მიდგომითი ბარიერების გამოვლენასა და მოხსნას საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და თემებში. დისკრიმინაციისაგან თავისუფლება მოიცავს სეგრეგაციისგან დაცვასა და გონივრულ მისადაგებას. ამ უფლების გააზრება საჭიროა მისადგომი სასწავლო გარემოსა და გონივრული მისადაგების ვალდებულების კონტექსტში.

14. შეიარაღებულ კონფლიქტს, ჰუმანიტარული გადაუდებელი დახმარებისა და ბუნებრივი კატასტროფების სიტუაციებს არაპროპორციული გავლენა აქვთ ინკლუზიური განათლების უფლებაზე. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ასეთი რისკების შემცირების ინკლუზიური სტრატეგია სკოლის ყოვლისმომცველი უსაფრთხოებისათვის, განსაკუთრებით, ისეთი საგანგებო სიტუაციების დროს, რომლებიც სენსიტიურია შშმ მსმენელთათვის. ამ კონტექსტში, დროებითმა სასწავლო გარემოებებმა შშმ პირების, კერძოდ,

ბავშვებისთვის, სხვათა თანასწორად უნდა უზრუნველყოს განათლების უფლება. ეს უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო მასალების, სასკოლო დაწესებულებებისა და კონსულტაციების ხელმისაწვდომობას, ასევე, სმენადაქვეითებულ მსმენელთა წვდომას ჟესტური ენით სწავლებაზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის მე-11 მუხლის შესაბამისად, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სექსუალური ძალადობის მაღალი რისკის გათვალისწინებით, აუცილებელია ზომების მიღება, რათა ისინი უსაფრთხო და მისაწვდომი იყოს შშმ ქალებისა და გოგონებისათვის. შშმ მსმენელებს არ უნდა შეეზღუდოთ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე წვდომა იმ მიზეზით, რომ მათი ევაკუაცია საგანგებო სიტუაციებისას შეუძლებელი იქნება და საჭიროებს გონივრულ მისადაგებას.

15. 24(1) მუხლის განსახორციელებლად, ასევე, ისეთი დოკუმენტებთან შესაბამისობისათვის, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და ბავშვის უფლებების კონვენცია, განათლება უნდა მიემართებოდეს ადამიანის შესაძლებლობების, ღირსებისა და თავმოყვარეობის სრულ განვითარებას, ასევე, ადამიანის უფლებებისა და მრავალფეროვნების პატივისცემას. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ განათლება მიჰყვებოდეს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მიზნებსა და ამოცანებს, შემდეგი დოკუმენტების დებულებათა გათვალისწინებით: მსოფლიო დეკლარაცია „განათლება ყველასათვის“ (მუხლი 1), ბავშვის უფლებების კონვენცია (მუხლი 29), ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა (ნაწილი I, პუნქტი 33 და ნაწილი II პუნქტი 80), ადამიანის უფლებების შესახებ განათლების დეკადური სამოქმედო გეგმა (პუნქტი 2, გაერო). ეს ტექსტები მოიცავს დამატებით ელემენტებს, როგორიცაა მითითებები გენდერულ თანასწორობასა და გარემოს დაცვაზე.[5] განათლების უფლება მოიცავს წვდომას, აგრეთვე შინაარსს, და ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ღირებულებათა ფართო სპექტრის ხელშეწყობაზე, მათ შორის, გაგებასა და ტოლერანტობაზე. [5] ინკლუზიური განათლება მიზნად უნდა ისახავდეს ყველა ადამიანის ორმხრივ პატივისცემასა და დაფასებას, სავალდებულო საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, სადაც სწავლის, საგანმანათლებლო დაწესებულების კულტურისა და პროგრამისადმი მიდგომა ითვალისწინებს მრავალფეროვნების ღირებულებასაც.

5

16. 24(1) მუხლის განსახორციელებლად განათლება უნდა მიემართებოდეს შშმ ადამიანთა პიროვნების, ნიჭის, კრეატიულობის, ასევე, ფსიქიკური, ფიზიკური და საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარებას, მათ სრულ რეალიზებამდე. შშმ პირთა განათლება ძალიან ხშირად ფოკუსირებულია დეფიციტურ მიდგომაზე, მათ ფაქტობრივ თუ აღქმულ დარღვევებსა და

[5] ბავშვის უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №1 (2001) განათლების მიზნების შესახებ.

7

შესაძლებლობათა შეზღუდვაზე, რაც ეყრდნობა წინასწარგანსაზღვრულ და უარყოფით ვარაუდებს ამ პირთა პოტენციალის შესახებ. მონაწილე სახელმწიფოები მხარს უნდა უჭერდნენ შესაძლებლობების შექმნას თითოეული შშმ პირის გასაძლიერებლად და ნიჭის ხელშესაწყობად.

17. 24(1) მუხლის განსახორციელებლად, განათლების მიზნები უნდა მიემართებოდეს შშმ პირთა სრულ და ეფექტიან მონაწილეობას თავისუფალ საზოგადოებაში. ბავშვის უფლებების კონვენციის 23(3) მუხლის კიდევ ერთხელ მოხმობით, კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ შშმ პირებს დახმარება უნდა გაეწიოთ განათლებაზე ეფექტიანი წვდომისათვის, რათა მაქსიმალურად შეძლონ სოციალური ინტეგრაცია და ინდივიდუალური განვითარება. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ ინდივიდუალური მხარდაჭერა და გონივრული მისადაგება პრიორიტეტულია და ორივე მათგანი უფასო უნდა იყოს განათლების ყველა სავალდებულო დონეზე.

18. 24-ე მუხლის 2(a) პუნქტის განსახორციელებლად, უნდა აიკრძალოს შშმ პირთა გარიყვა ზოგადი საგანმანათლებლო სისტემიდან. ეს ეხება ნებისმიერ სამართლებრივ თუ მარეგულირებელ დებულებასაც, რომლებიც აფერხებს შშმ პირთა ინკლუზიას დარღვევის ან მისი ხარისხის საფუძველზე (მაგ.: ინკლუზიის განპირობება ინდივიდის პოტენციალის ხარისხსა ან არაპროპორციულ და გაუმართლებელ ვალდებულებაზე დაყრდნობით, რათა თავი აარიდონ გონივრული მისადაგების ვალდებულების შესრულებას). ზოგადი განათლება ნიშნავს რეგულარული სასწავლო გარემოსა და საგანმანათლებლო დეპარტამენტის შექმნას. პირდაპირი აკრძალვა იქნება კონკრეტული მსმენელების კლასიფიკაცია „განათლების მისაღებად უუნარო“ და, შესაბამისად, განათლებაზე წვდომასთან დაუშვებელ პირებად. ირიბი აკრძალვა იქნება, თუ სკოლაში შესვლის პირობად დაწესდება ზოგადი ტესტის გავლის მოთხოვნა, ყოველგვარი გონივრული მისადაგებისა და მხარდაჭერის გარეშე.

19. კონვეციის 4(1) მუხლის განსახორციელებლად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის, საკანონმდებლოც, რათა შეცვალონ ან გააუქმონ (სისტემატურად ან დროდადრო) ის დისკრიმინაციული კანონები, რეგულაციები, ჩვეულებები და პრაქტიკა შშმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევს 24-ე მუხლს.

20. 24(2) მუხლის შესასრულებლად, შშმ პირებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ინკლუზიურ, ხარისხიან და თავისუფალ საწყის თუ საშუალო განათლებაზე და შეეძლოთ ერთი ეტაპიდან მეორეზე სხვათა თანასწორად გადასვლა იმ საზოგადოებაში, სადაც ცხოვრობენ. კომიტეტი იყენებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის რეკომენდაციებს იმ ვალდებულების შესასრულებლად, რომ საგანმანათლებლო სისტემა შედგებოდეს ოთხი ურთიერთდაკავშირებული მახასიათებლისაგან: ხელმისაწვდომობა, მისაწვდომობა, მისაღებობა და ადაპტირება.[7]

ხელმისაწვდომობა

21. საჯარო და კერძო საგანმანათლებლო ინსტიტუტები და პროგრამები ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი რაოდენობითა და ხარისხით. მონაწილე სახელმწიფოებმა შშმ მსმენელებისათვის ფართო სპექტრით უნდა უზრუნველყონ სასწავლო ტერიტორიები ყველა დონეზე და მთელ საზოგადოებაში.

მისაწვდომობა

22. კონვენციის მე-9 მუხლისა და კომიტეტის №2 (2014) ზოგადი კომენტარის შესაბამისად, საგანმანათლებლო ინსტიტუტები და პროგრამები ყველასათვის მისაწვდომი უნდა იყოს დისკრიმინაციის გარეშე. მისაწვდომი უნდა იყოს მთლიანად საგანმანათლებლო სისტემაც, მათ შორის: შენობები, ინფორმაცია და საკომუნიკაციო ხელსაწყოები (მაგ.: გარემომცველი და სიხშირის მოდულაციის დამხმარე ხელსაწყოები); საგანმანათლებლო პროგრამა, საშუალებები და მეთოდები; ასევე, შეფასებები, ენა და მხარდამჭერი სერვისები. გარემო შშმ სტუდენტებისათვის ხელს უნდა უწყობდეს ინკლუზიას და უზრუნველყოფდეს მათ თანასწორობას მთელი სწავლების პროცესში[6] (მაგ.: სკოლის ტრანსპორტი, სანიტარიული დაწესებულებები - მათ შორის, ჰიგიენური შენობები და საპირფარეშოები - სკოლის კაფეტერიები და რეკრეაციული სივრცეები უნდა იყოს ინკლუზიური, მისაწვდომი და უსაფრთხო). მონაწილე სახელმწიფოებმა სწრაფად უნდა დანერგონ უნივერსალური დიზაინი; აკრძალონ და სანქციები დააწესონ ნებისმიერ მომავალ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურასა თუ შენობებზე, რომლებიც არ არის მისაწვდომი; ასევე, განსაზღვრონ ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმი და ვადა ყველა არსებული საგანმანათლებლო გარემოს მისაწვდომობისათვის. მონაწილე სახელმწიფოებმა საგანმანათლებლო გარემოებებში საჭიროების შესაბამისად უნდა უზრუნველყონ გონივრული მისადაგება. უნივერსალური დიზაინის მიდგომა არ გამორიცხავს დამხმარე საშუალებების, აპლიკაციებისა და პროგრამების უზრუნველყოფას იმ შშმ მსმენელებისათვის, რომლებიც შესაძლოა საჭიროებდნენ მათ. მისაწვდომობა დინამიკური კონცეფციაა და მისი გამოყენება მოითხოვს პერიოდულ მარეგულირებელ და ტექნიკურ კორექტირებებს. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ინოვაციების სწრაფი განვითარება და სწავლების ხელშესაწყობად შექმნილი ახალი ტექნოლოგიები მისაწვდომი იყოს ყველა მსმენელისათვის, მათ შორის, შშმ პირებისთვის.

23. კომიტეტი გამოყოფს სასწავლო მასალისა და წიგნების ნაკლებობას ყველა მისაწვდომ ფორმატში, მათ შორის, ჟესტების ენაზე. საჭიროა დროული ინვესტირება მელნის ან ბრაილისა და ციფრული ფორმატის განვითარებაში, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებასთან ერთად. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ბეჭდური მასალის მისაწვდომ ფორმატში და ენაზე გადასაყვანად; ასევე, განათლებასთან დაკავშირებული შესყიდვების ცენტრალურ ასპექტად გაითვალისწინონ მისაწვდომობა. კომიტეტი მხარე სახელმწიფოებს მოუწოდებს მარაკეშის ხელშეკრულების სასწრაფო რატიფიკაციასა და დანერგვას. ეს დოკუმენტი ეხება

[6] შეზღუდული შესაძლებლობების უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №2.

9

გამოქვეყნებული ნაწარმოებების ხელმისაწვდომობას მხედველობის არმქონე და მცირემხედველი პირებისთვის.

24. მისაწვდომობა გულისხმობს, რომ განათლება ყველა დონეზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს შშმ სტუდენტებისათვის. გონივრული მისადაგება არ უნდა იწვევდეს დამატებით ხარჯებს შშმ მსმენელთა მხრიდან. სავალდებულო, ხარისხიანი, თავისუფალი და მისაწვდომი დაწყებითი განათლება უშუალო ვალდებულებაა. 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ პროგრესული ზომები, რათა ყველა ბავშვმა - მათ შორის, შშმ ბავშვებმა - მიიღოს თავისუფალი, თანასწორი და ხარისხიანი საშუალო განათლება. მათ ყველა შშმ ქალისა და მამაკაცისათვის თანასწორად უნდა უზრუნველყონ წვდომა ხარისხიან ტექნიკურ, პროფესიულ და სკოლისშემდგომ განათლებაზე, მათ შორის, უნივერსიტეტებშიც; ასევე, სწავლებაზე სიცოცხლის ბოლომდე. მონაწილე სახელმწიფოთა ძალისხმევით, შშმ პირებს სხვათა თანასწორი წვდომა უნდა ჰქონდეთ განათლებაზე საჯარო და კერძო აკადემიურ ინსტიტუტებშიც.

მისაღებობა

25. მისაღებობა არის განათლებასთან დაკავშირებული ნაგებობების, საქონლისა და მომსახურების დაგეგმვისა და დანერგვის ვალდებულება შშმ პირთა მოთხოვნილებების, კულტურის, შეხედულებებისა და ენის სრულად გათვალისწინებით. განათლების ფორმა და არსი ყველასათვის მისაღები უნდა იყოს. წევრმა ქვეყნებმა უნდა გაატარონ დამადასტურებელი სამოქმედო ზომები ყველასათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად.[9] ინკლუზია და ხარისხი ერთად ურთიერთმომგებიანია: ინკლუზიურ მიდგომას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს განათლების ხარისხში.

ადაპტირება

26. კომიტეტი წაახალისებს მხარე სახელმწიფოებს, რომ მიიღონ უნივერსალური დიზაინის სასწავლო მიდგომა, რომელიც შედგება პრინციპების ნაკრებისაგან. ეს პრინციპები ხელს უწყობს მასწავლებლებსა და სხვა პერსონალს ადაპტირებული სასწავლო გარემოსა და ყველა მსმენელის მრავალფეროვანი საჭიროებების საპასუხო სტრუქტურის შექმნაში. უნივერსალური დიზაინი აღიარებს, რომ თითოეული სტუდენტი სწავლობს უნიკალური გზით, რაც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სწავლების მოქნილი გზების შემუშავება; მიმზიდველი საკლასო გარემოს შექმნა; ყველა სტუდენტის მაღალი მოლოდინების და, ამავდროულად, მათი საპასუხო გზების შენარჩუნება; მასწავლებელთა გაძლიერება, რომ იფიქრონ განსხვავებულად სწავლებაზე; და საგანმანათლებლო შედეგებზე ფოკუსირება ყველასათვის, მათ შორის, შშმ პირებისათვის. უნდა შემუშავდეს, ჩამოყალიბდეს და დაინერგოს საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უპასუხებს და მოერგება თითოეული სტუდენტის მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფს შესაბამის საგანმანათლებლო რეაგირებას. სტანდარტული შეფასებები უნდა ჩანაცვლდეს მოქნილი და მრავალგვარი შეფასებებით; ფართო მიზნების მიღწევა, რომლებიც

უზრუნველყოფს სწავლების ალტერნატიულ საშუალებებს, საჭიროა ინდივიდუალური გზებით.

27. კონვენციის 24(2) მუხლის შესაბამისად, შშმ პირებს უნდა შეეძლოთ დაწყებით და საშუალო სკოლებში სიარული იმ საზოგადოებებში, სადაც ცხოვრობენ. სტუდენტები არ უნდა გაიგზავნონ სახლიდან შორს. საგანმანათლებლო გარემო შშმ პირებისათვის უსაფრთხო უნდა იყოს ფიზიკურ მანძილზეც და მოიცავდეს ტრანსპორტის დაცულ საშუალებებს, ან განათლება მისაწვდომი იყოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით. თუმცა, მონაწილე სახელმწიფოებმა მხოლოდ ტექნოლოგიებით არ უნდა ჩაანაცვლონ შშმ მსმენელთა პირდაპირი ჩართულობა, ასევე, მასწავლებლებსა და საგანმანათლებლო სივრცის მისაბაძ ადამიანებთან ინტერაქცია. სხვა მსმენელთა, მათ შორის, შშმ პირთა დედმამიშვილების აქტიური მონაწილეობა ინკლუზიური განათლების უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

28. 24(2) მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ გონივრული მისადაგება, რათა მსმენელებს ინდივიდუალურად ჰქონდეთ წვდომა განათლებაზე სხვათა თანასწორად. გონივრულობა გაგებულია, როგორ კონტექსტუალური ტესტის შედეგი, რომელიც მოიცავს შესაბამისობის გაანალიზებას, მისადაგების ეფექტიანობასა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას. რესურსების ხელმისაწვდომობა და ფინანსური შედეგები განისაზღვრება არაპროპორციული ტვირთის შეფასებისას. გონივრული მისადაგების ვალდებულება უნდა შესრულდეს მასზე მოთხოვნის მომენტიდან.[7] რეგულირებები, რომლებიც მოითხოვს გონივრულ მისადაგებას, საჭიროა ეროვნულ, ადგილობრივ და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დონეზე და განათლების ყველა საფეხურზე. გონივრული მისადაგების ფარგლები უნდა განისაზღვროს ისეთი ვალდებულების გათვალისწინებით, როგორიცაა ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის შექმნა; საამისოდ საჭიროა არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენება და ახლების შემუშავებაც. რესურსების ნაკლებობისა და ფინანსური კრიზისის დასახელება ინკლუზიური განათლების არარსებობის გასამართლებლად, არღვევს 24-ე მუხლს.

29. კომიტეტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს განსხვავებას საერთო ხელმისაწვდომობის მოვალეობასა და გონივრულ მისადაგებას შორის.[11] მისაწვდომობა ხელს უწყობს მოსახლეობის ჯგუფებს და დამოკიდებულია სტანდარტებზე, რომლებიც ხორციელდება ეტაპობრივად. არაპროპორციულობა და გაუმართლებელი ვალდებულება ვერ გაამართლებს მიუწვდომლობას. გონივრული მისადაგება უკავშირდება ინდივიდს და შეესაბამება ხელმისაწვდომობის ვალდებულებას. პირმა შეიძლება კანონიერად მოითხოვოს გონივრული მისადაგების ზომები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარე სახელმწიფომ შეასრულა მისი ხელმისაწვდომობის ვალდებულება.

30. პროპორციულობის მნიშვნელობა აუცილებლად განსხვავდება კონტექსტიდან გამომდინარე. მისადაგება საგანმანათლებლო სისტემაში

[7] შეზღუდული შესაძლებლობების უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №2. [11] იქვე.

ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფართო საგანმანათლებლო რესურსების გათვალისწინებით და არ შემოიფარგლოს კონკრეტულ აკადემიურ ინსტიტუტში არსებული რესურსებით; სისტემის ფარგლებში შესაძლებელი უნდა იყოს რესურსების ტრანსფერი. არ არსებობს გონივრული მისადაგების ფორმულა „ერთი ზომა ერგება ყველას“, რადგან ერთი და იმავე საჭიროების მქონე სხვადასხვა მსმენელს შეიძლება სხვადასხვა მისადაგება დასჭირდეს. მისადაგებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს: კლასის ლოკაციის შეცვლა; განსხვავებული კლასის შიდა კომუნიკაციის უზრუნველყოფა; ნაბეჭდების, ნაბეჭდი მასალის ფონტის ან ნიშნების ზომის გაზრდა, ან ნაბეჭდი მასალის მიწოდება ალტერნატიულ ფორმატში; მსმენელების უზრუნველყოფა შენიშვნების ჩამწერით ან თარჯიმნით; მათთვის დამხმარე ტექნოლოგიის გამოყენების საშუალების მიცემა სწავლების პროცესში და შეფასებებისას. ასევე გასათვალისწინებელია არამატერიალური მისადაგებები, როგორიცაა: მსმენელისათვის მეტი დროის მიცემა; ფონური ხმების შემცირება (სენსორულ გადატვირთვაზე მგრძნობელობა); შეფასების ალტერნატიული მეთოდების გამოყენება; და საგანმანათლებლო პროგრამის ელემენტის ჩანაცვლება ალტერნატივით. დისკუსიები უნდა გაიმართოს შემდეგ მხარეებს შორის: საგანმანათლებლო სისტემის უფლებამოსილი პირები და პროვაიდერები, აკადემიური ინსტიტუტები, შშმ სტუდენტები და, მათი ასაკისა და ქმედუნარიანობის გათვალისწინებით, მშობლები, მომვლელები და ოჯახის წევრები (საჭიროების შესაბამისად). ამის მიზანია, მისადაგება პასუხობდეს სტუდენტთა მოთხოვნებს, ნებას, პრიორიტეტებსა და არჩევანს და დაინერგოს ინსტიტუტებში. გონივრული მისადაგება შეიძლება არ იყოს განპირობებული სამედიცინო დიაგნოზით და ეფუძნებოდეს განათლებაში არსებული სოციალური ბარიერების შეფასებას.

31. უარი გონივრულ მისადაგებაზე იწვევს დისკრიმინაციას. გონივრული მისადაგების ვალდებულება დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს და არ გულისხმობს მის ეტაპობრივ განხორციელებას. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მისადაგების ეფექტიანობასა და შესაბამისობას მონიტორინგს უწევდნენ დამოუკიდებელი სისტემები; ასევე, შეიმუშაონ გამოსწორების უსაფრთხო, დროული და მისაწვდომი მექანიზმები, როდესაც შშმ სტუდენტები (და, გარკვეულ შემთხვევაში, მათი ოჯახები) მიიჩნევენ, რომ არ არიან შესაბამისად უზრუნველყოფილნი დახმარებით, ან განიცადიან დისკრიმინაციას. გამოსწორების პროცესში აუცილებელია, არსებობდეს დისკრიმინაციის მსხვერპლთა ვიქტიმიზაციისაგან დაცვის საშუალებები.

32. 24(2) მუხლის განსახორციელებლად, შშმ მსმენელებს უნდა ჰქონდეთ საჭირო მხარდაჭერის მიღების უფლება, ეფექტიანი განათლების ხელშესაწყობად და საკუთარი პოტენციალის სხვათა თანასწორად რეალიზებისათვის. საგანმანათლებლო სისტემაში მომსახურებისა და ობიექტების ზოგადი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მხარდაჭერა გულისხმობს, რომ შშმ სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად განხორციელების საშუალება. ეს ასევე გულისხმობს, რომ სისტემას უნდა ჰყავდეს შესაბამისად მომზადებული და მხარდაჭერილი სასწავლო პერსონალი, სკოლის მრჩევლები, ფსიქოლოგები და ჯანდაცვისა თუ სოციალური

მომსახურების პროფესიონალები, ასევე, ჰქონდეს წვდომა გრანტებსა და ფინანსურ რესურსებზე.

33. 24(2) მუხლის განსახორციელებლად, ადეკვატური, განგრძობითი და პერსონალიზებული მხარდაჭერა პირდაპირ უნდა გაეწიოთ ადამიანებს. კომიტეტი ხაზს უსვამს ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმების აუცილებლობას, რომლებიც გამოავლენს გონივრული მისადაგების, ასევე, ცალკეული სტუდენტების სპეციფიკურ საჭიროებებს (მაგ.: დამხმარე საკომპენსაციო საშუალებები და საინფორმაციო ტექნოლოგიები). მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს კვალიფიციურ სასწავლო დამხმარეს, როგორც საზიარო, ისე პირად საფუძველზე, მსმენელის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმები უნდა არეგულირებდეს იმ მსმენელთა გარდამავალ მდგომარეობას, რომლებიც გადაადგილდებიან სეგრეგირებული დაწესებულებებიდან ჩვეულებრივ დაწესებულებებში, განათლების სხვადასხვა დონეზე. ასეთი გეგმების ეფექტიანობა რეგულარულად უნდა გადიოდეს მონიტორინგს და შეფასებას მსმენელის პირდაპირი ჩართულობით. დებულება უნდა განისაზღვროს სტუდენტთან ერთად და, გარკვეულ შემთხვევაში, მშობლებთან, მომვლელებსა და სხვა მესამე მხარეებთან თანამშრომლობით. მსმენელს უნდა ჰქონდეს წვდომა რესურსების მექანიზმებზე, თუკი მხარდაჭერა არ არის ხელმისაწვდომი ან უკმარია.

34. ნებისმიერი მხარდამჭერი ზომები უნდა შეესაბამებოდეს ინკლუზიის მიზანს. შესაბამისად, ისინი უნდა შემუშავდეს ისე, რომ გააძლიეროს შშმ მსმენელთა შესაძლებლობები, თანატოლებთან ერთად მონაწილეობდნენ საკლასო და სკოლის გარე აქტივობებში და არ იყვნენ მარგინალიზებულნი.

35. 24(3) მუხლთან დაკავშირებით, ბევრი მხარე სახელმწიფო ვერ ახერხებს, რომ შშმ პირებს - კერძოდ, აუტიზმის სპექტრის, ასევე, კომუნიკაციისა და სენსორული დარღვევების მქონე ადამიანებს - შეეძლოთ ცხოვრებისეული, ენობრივი და სოციალური უნარების შეძენა, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო სფეროსა და საზოგადოებაში მათი მონაწილეობისათვის:

(a) უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ მსმენელებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ აითვისონ ბრაილი, ალტერნატიული შრიფტი, დამხმარე და ალტერნატიული კომუნიკაციის საშუალებები და ფორმატები, აგრეთვე, ორიენტაციისა და მობილურობის უნარები. საჭიროა ინვესტირება, რათა ხელი შეუწყონ შესაბამის ტექნოლოგიებსა და ალტერნატიულ საკომუნიკაციო სისტემებზე წვდომის სწავლებას. უნდა შემუშავდეს და წახალისდეს თანატოლთა მხარდაჭერისა და მენტორობის სქემებიც;

(b) ყრუ და სმენის პრობლემების მქონე მსმენელებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისწავლონ ჟესტების ენა. შესაბამისი ზომები მისაღებია სმენადაქვეითებული თემის ენობრივი იდენტობის ხელშესაწყობადაც. კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოების ყურადღებას განსაკუთრებულად მიმართავს კონვენციაზე „განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ“. ეს დოკუმენტი აყალიბებს ბავშვის უფლებას, ისწავლოს მის ენაზე, და მხარე სახელმწიფოებს ახსენებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 30(4) მუხლის თანახმად, შშმ პირებს სხვათა თანასწორად აქვთ მათი სპეციფიკური კულტურისა და ენობრივი იდენტობის

(მაგ.: ჟესტების ენა და ყრუთა კულტურა) უფლება. გარდა ამისა, სმენის პრობლემების მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ხარისხიან სალაპარაკო თერაპიაზე (მაგ.: ინდუქციის ყულფის ტექნოლოგია და წარწერები).

(c) უსინათლო, ყრუ და ორივე დარღვევის მქონე მსმენელთა განათლება უნდა წარიმართოს ინდივიდის შესაფერისი საკომუნიკაციო ენის, მეთოდებისა და ხერხების საშუალებით. ეს უნდა მოხდეს ისეთ გარემოში, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს ცოდნის ათვისებასა და სოციალურ განვითარებას - სკოლის ფარგლებშიც და მის გარეთაც. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ამგვარი ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად საჭიროა მხარდაჭერა მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან, მათ შორის, რესურსებითა და დამხმარე ტექნოლოგიებით, ასევე, ორიენტაციისა და მობილურობის უნარების შემუშავებით;

(d) კომუნიკაციის დარღვევის მქონე მსმენელებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ გამოხატონ საკუთარი თავი და ისწავლონ ალტერნატიული ან დამხმარე კომუნიკაცია. ეს შეიძლება მოიცავდეს ჟესტების ენის, დაბალტექნოლოგიური თუ მაღალტექნოლოგიური დამხმარე საშუალებების (როგორიცაა ტაბლეტები გამომავალი ხმის ფუნქციით და საკომუნიკაციო დამხმარე მოწყობილობა გამომავალი ხმით) ან საკომუნიკაციო წიგნების უზრუნველყოფას. მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან საჭიროა ინვესტირება ექსპერტიზის, ტექნოლოგიებისა და სერვისების განვითარებაში, რათა უზრუნველყონ შესაბამის ტექნოლოგიასა და ალტერნატიულ საკომუნიკაციო სისტემებზე წვდომა განათლების ხელშესაწყობად ;

(e) სოციალური კომუნიკაციის სირთულეების მქონე მსმენელებს ხელი უნდა შეეწყოთ ისეთი საშუალებებით, როგორიცაა ადაპტირებული საკლასო ოთახების ორგანიზება, წყვილებში მუშაობა, მათი თანატოლების სწავლება, მასწავლებელთან ახლოს განთავსება და სტრუქტურირებული და პროგნოზირებადი გარემოს შექმნა;

(f) ინტელექტუალური დარღვევების მქონე მსმენელები უნდა უზრუნველყონ კონკრეტული, ვიზუალურად გამოკვეთილი და მარტივად წასაკითხი სასწავლო საშუალებებით - უსაფრთხო, წყნარ და სტრუქტურირებულ სასწავლო გარემოში. ამგვარი გარემო მიემართება ისეთი შესაძლებლობების გაძლიერებას, რომლებიც საუკეთესოდ მოამზადებს სტუდენტებს დამოუკიდებელი ცხოვრებისა და პროფესიული კონტექსტისათვის. წევრმა ქვეყნებმა ინვესტიცია უნდა ჩადონ ინკლუზიურ და ინტერაქციულ საკლასო ოთახებში, სადაც გამოიყენება ალტერნატიული ინსტრუქციული სტრატეგიები და შეფასების მეთოდები.

36. 24(4) მუხლის განსახორციელებლად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ადმინისტრაციისა და სასწავლო თუ არასასწავლო პერსონალს ჰქონდეს ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოში ეფექტიანი მუშაობისათვის საჭირო უნარები. ასეთი პერსონალი კვალიფიცირებული უნდა იყოს ჟესტების ენასა და/ან ბრაილში, ორიენტაციისა და მობილურობის უნარებში. სკოლის კვალიფიციურ და ერთგულ პერსონალს საკვანძო მნიშვნელობა აქვს მდგრადი და ინკლუზიური განათლებისათვის. გაგებისა და შესაძლებლობების ნაკლებობა მნიშვნელოვანი წინაღობაა

ინკლუზიისათვის. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მასწავლებელს ჰქონდეს გავლილი შესაბამისი ტრენინგი ინკლუზიურ განათლებაზე. ყველა ეს ტრენინგი უნდა ეყრდნობოდეს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ შეზღუდული შესაძლებლობის მოდელს.

37. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ინვესტიცია და მხარი დაუჭირონ შშმ მასწავლებელთა რეკრუტირებასა და უწყვეტ განათლებას. ეს მოიცავს ნებისმიერი სამართლებრივი ან პოლიტიკური ბარიერის მოშორებას, რაც კანდიდატებისაგან ითხოვს დასაშვებობის სპეციფიკური სამედიცინო კრიტერიუმის დაკმაყოფილებას და გონივრულ მისადაგებას მათი, როგორც მასწავლებლების მონაწილეობისათვის. ეს ხელს შეუწყობს შშმ პირთა თანასწორუფლებიანობას პროფესიის არჩევისას, შემოიტანს უნიკალურ გამოცდილებასა და უნარებს სასწავლო გარემოში, დაეხმარება ბარიერების მოხსნას და ამ ადამიანებს აქცევს მნიშვნელოვან მისაბაძ მაგალითებად.

38. 24(5) მუხლის ასამოქმედებლად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შშმ პირებს სხვათა თანასწორად და დისკრიმინაციის გარეშე ჰქონდეთ წვდომა სკოლისშემდგომ განათლებაზე, პროფესიულ სწავლებაზე, ზრდასრულთა განათლებასა და სიცოცხლის ბოლომდე სწავლაზე. თანასწორი წვდომისათვის, უნდა გამოვლინდეს და აღმოიფხვრას ამ საფეხურებზე მისაღები განათლების მიდგომითი, ფიზიკური, ენობრივი, საკომუნიკაციო, ფინანსური, სამართლებრივი და სხვა ბარიერები. ასევე საჭიროა გონივრული მისადაგება, რათა შშმ პირები არ დაექვემდებარონ დისკრიმინაციას. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ პოზიტიური ზომების მიღება სკოლისშემდგომ განათლებაში შშმ პირთა ხელშესაწყობად.

III. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებები

39. მონაწილე სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ, დაიცვან და შეასრულონ ინკლუზიური განათლების თითოეული არსებითი მახასიათებელი: ხელმისაწვდომობა, მისაწვდომობა, მისაღებობა და ადაპტაცია. პატივისცემის ვალდებულება ითხოვს ისეთი ზომების არიდებას, რომლებიც ხელს უშლის უფლებებით სარგებლობას (მაგ.: კანონმდებლობა, რომელიც იწვევს კონკრეტულ შშმ ბავშვების იზოლაციას განათლების სფეროდან; უარი მისაწვდომობასა ან გონივრულ მისადაგებაზე). დაცვის ვალდებულება საჭიროებს იმგვარ ღონისძიებებს, რომლებიც მესამე მხარეს არ მისცემს ჩარევის საშუალებას უფლებებით სარგებლობაში (მაგ.: მშობლები, რომლებიც უარს ამბობენ შშმ გოგონების გაშვებაზე სკოლაში; კერძო ინსტიტუტები, რომლებიც უარს ამბობენ შშმ პირთა ჩარიცხვაზე მათი დარღვევების გამო). შესრულების ვალდებულება ითხოვს ისეთი ზომების გატარებას, რომლებიც საშუალებას აძლევს და ეხმარება შშმ პირებს განათლების უფლებით სარგებლობაში (მაგ.: საგანმანათლებლო ინსტიტუტების მისაწვდომობა; საგანმანათლებლო სისტემის რესურსებისა და მომსახურებების ადაპტირება).

40. 4(2) მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ზომები, რომ მაქსიმალურად გაზარდონ ხელმისაწვდომი რესურსები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით; ასევე,

საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო თანამშრომლობით მიიღონ ყველა ზომა ამ უფლებათა სრული დაცვის პროგრესირებადი უზრუნველყოფისათვის. პროგრესირებადი განხორციელება ნიშნავს, რომ მხარე სახელმწიფოებს აქვთ სპეციფიკური და განგრძობადი ვალდებულება, რომ ნელ-ნელა და ეფექტიანად გადავიდნენ 24-ე მუხლის შესრულებაზე. [8] ეს შეუთავსებელია განათლების ორ სისტემასთან: ჩვეულებრივი საგანმანათლებლო სისტემა და სპეციალური/სეგრეგირებული საგანმანათლებლო სისტემა. პროგრესირებადი განხორციელება უნდა იკითხებოდეს კონვენციის ზოგად მიზნებთან ერთობლიობაში, რათა მონაწილე სახელმწიფოებისთვის ჩამოაყალიბოს მკაფიო ვალდებულებები განსახილველ უფლებათა სრულ რეალიზაციასთან მიმართებით. მსგავსად, მხარე სახელმწიფოებისთვის რეკომენდებულია განათლების ბიუჯეტის ხელახალი გადანაწილება. ნებისმიერი უკუძალის მქონე ზომები ამ თვალსაზრისით არ უნდა მიემართებოდეს შშმ პირებს განათლების არცერთ საფეხურზე.[9] ეს ზომები უნდა იყოს მხოლოდ დროებითი, კრიზისის პერიოდით შეზღუდული, აუცილებელი, პროპორციული, არადისკრიმინაციული და ითვალისწინებდეს ყველა შესაძლო ღონისძიებას უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.[10]

41. პროგრესირებადი განხორციელება არ ზღუდავს დაუყოვნებლივ შესასრულებელ ვალდებულებებს. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა თავის №3 ზოგად კომენტარში (1990) აღნიშნა, რომ მხარე სახელმწიფოებს აქვთ ძირითადი ვალდებულება, სულ მცირე, მინიმალური დონით დააკმაყოფილონ განათლების უფლების თითოეული ასპექტი.[15] შესაბამისად, ამ სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ უნდა შეასრულონ შემდეგი უმთავრესი ვალდებულებები:

(a) დისკრიმინაციის აკრძალვა განათლების ყველა ასპექტში, რაც მოიცავს დისკრიმინაციის ყველა საერთაშორისოდ აღიარებულ საფუძველს. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ შშმ პირების გარიყვა განათლებიდან, ასევე, აღმოფხვრან სტრუქტურული არახელსაყრელი მდგომარეობა შშმ პირთა ეფექტიანი მონაწილეობისა და თანასწორობისათვის. მათ დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები დისკრიმინაციის ყველა სამართლებრივი, ადმინისტრაციული და სხვა ფორმის აღსაკვეთად, რაც ხელს უშლის წვდომას ინკლუზიურ განათლებაზე. პოზიტიური ზომების მიღებით არ დაირღვევა დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლება განათლებასთან დაკავშირებით, იმ დრომდე, ვიდრე არ გამოიწვევს სხვადასხვა ჯგუფისათვის უთანასწორო ცალკეული სტანდარტების შენარჩუნებას;

[8] იხ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №3 (1990) მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებათა ბუნებაზე, პუნქტი 9.

[9] იქვე.

[10] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის თავმჯდომარის 2012 წლის 16 მაისით დათარიღებული წერილი სახელმწიფოებისადმი, რომლებიც არიან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მონაწილეები.

[15] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №3.

(b) გონივრული მისადაგება შშმ პირთა განათლების სფეროდან გარიყვის ასაკრძალად. გონივრული მისადაგების შეუსრულებლობა იწვევს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე;

(c) სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლების ხელმისაწვდომობა ყველასათვის. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა სათანადო ზომა, რომ ეს უფლება ინკლუზიის საფუძველზე ჰქონდეს ყველა შშმ ბავშვსა და ახალგაზრდას. კომიტეტი მხარე სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ თითოეული ბავშვისა და ახალგაზრდისათვის უზრუნველყონ: სულ მცირე, 12-წლიანი უფასო, ინკლუზიური და თანასწორი დაწყებითი და საშუალო განათლება, რომლის, მინიმუმ, 9 წელი არის სავალდებულო საფეხური; ასევე, წვდომა ხარისხიან განათლებაზე სკოლის გარეთ მყოფი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, განათლების 2030 წლის სამოქმედო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოდალობათა მიხედვით.

42. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ და დანერგონ ეროვნული საგანმანათლებლო სტრატეგია, რომელიც მსმენელთა განათლებას ყოველ საფეხურზე უზრუნველყოფს ინკლუზიისა და თანასწორი შესაძლებლობების საფუძველზე. 24(1) მუხლში ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო მიზნები თანასწორ ვალდებულებებს აწესებს მხარე სახელმწიფოებზე და, შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს დაუყოვნებლივ შესასრულებლად.

43. საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებით, ასევე, მდგრადი განვითარების მე-4 მიზნისა და განათლების 2030 წლის სამოქმედო ჩარჩოს გათვალისწინებით, ყველა ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა მიზნად უნდა ისახავდეს ინკლუზიურ და თანაბარი ხარისხის განათლებას და სიცოცხლის ბოლომდე აძლევდეს სწავლის საშუალებას ყველას. აქ იგულისხმება მხარდაჭერა შესაძლებლობათა გაძლიერებისათვის, ინფორმაციის გაზიარება, საუკეთესო პრაქტიკისა და კვლევების გაცვლა, ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა და წვდომა მისაწვდომ და დამხმარე ტექნოლოგიებზე. შეგროვებული მონაცემები და ყველა საერთაშორისო მხარდაჭერა, გაწეული განათლებაზე, უნდა ჩამოიშალოს დარღვევათა შესაბამისად. მე-4 მიზნის განსახორციელებლად, ინკლუზიური განათლების საერთაშორისო საკოორდინაციო მექანიზმის გათვალისწინება ხელს შეუწყობს უკეთეს პოლიტიკურ დიალოგსა და მონიტორინგს.

IV. კონვენციის სხვა დებულებებთან მიმართება

44. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ ადამიანის ყველა უფლების განუყოფლობა და ურთიერთკავშირი. განათლება არსებითია ყველა სხვა უფლების სრული და ეფექტიანი განხორციელებისათვის. [11] მსგავსად, ინკლუზიური განათლების უფლება განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა სხვა უფლებები იქნება რეალიზებული. გარდა ამისა, ეს უფლება უნდა გამყარდეს მთელ საზოგადოებში ინკლუზიური გარემოს შექმნით. ამისათვის

[11] იქვე, ზოგადი კომენტარი №11 (1999) დაწყებითი განათლების სამოქმედო გეგმებზე და ზოგადი კომენტარი №13.

საჭიროა, მიიღონ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მოდელი, რათა მოიხსნას საზოგადოებრივი ბარიერები, მიმართული შშმ პირთა გარიყვასა და მარგინალიზაციაზე. ასევე აუცილებელია ზომების გატარება ქვემოთ ჩამოყალიბებული უფლებების განსახორციელებლად.

45. მე-5 მუხლში დაცულია კანონის წინაშე და კანონით ყველა პირის თანასწორი დაცვის უფლება. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ დისკრიმინაცია შეზღუდულ შესაძლებლობის საფუძვლით და შშმ პირები ეფექტიანად და თანასწორად დაიცვან ყველა სახის დისკრიმინაციისაგან. სისტემატური და სტრუქტურული დისკრიმინაციის დასარეგულირებლად და „კანონით თანასწორი სარგებლობისათვის“, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პოზიტიური ზომები, როგორიცაა არქიტექტურული, კომუნიკაციური ან სხვაგვარი ბარიერების მოშორება ჩვეულებრივი განათლებიდან.

46. მე-6 მუხლი აღიარებს, რომ შშმ ქალები და გოგონები არიან მრავალგვარი დისკრიმინაციის მსხვერპლნი და მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები მათ მიერ უფლებებით თანასწორი სარგებლობისათვის. ინტერსექციური დისკრიმინაცია და გარიყვა მნიშვნელოვან ბარიერებს უქმნის შშმ ქალებისა და გოგონების მიერ განათლების უფლებით სარგებლობას. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გამოავლინონ და აღმოფხვრან ეს ბარიერები, რაც მოიცავს გენდერის საფუძვლით ძალადობისა და ისეთი ტენდენციის აღკვეთას, სადაც ქალებისა და გოგონების განათლება ნაკლებად ფასობს. მათ უნდა მიიღონ კონკრეტული ზომები, რათა განათლების უფლებას ხელს არ უშლიდეს გენდერული და/ან შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაცია, სტიგმა და ცრურწმენა. სახელმძღვანელოებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში უნდა აღმოიფხვრას მავნებლური სტერეოტიპები გენდერსა და/ან შეზღუდულ შესაძლებლობასთან მიმართებით. განათლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს გენდერზე არსებულ ტრადიციულ შეხედულებებთან ბრძოლაში, რომლებიც აწესებს პატრიარქალურ და პატერნისტულ საზოგადოებრივ ჩარჩოებს. [12] მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შშმ ქალებისა და გოგონების წვდომა საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო მომსახურებებზე, რადგან ეს მათი განვითარების, წინსვლისა და გაძლიერების ინსტრუმენტია.

47. მე-7 მუხლის მიხედვით, ყველა ქმედებაში, რომლებიც ეხება შშმ ბავშვებს, უმთავრესი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. „საუკეთესო ინტერესის“ კონცეფცია მიმართულია ბავშვის მიერ ყველა შესაბამისი უფლებით სარგებლობასა და მის ჰოლისტიკურ განვითარებაზე.[13] შშმ ბავშვის საუკეთესო უფლებების ნებისმიერი განსაზღვრება უნდა ითვალისწინებდეს თავად ბავშვის შეხედულებას, ინდივიდუალობას, იდენტობას, ოჯახის შენარჩუნებას, მოვლას, დაცვას, უსაფრთხოებასა და ნებისმიერ კონკრეტულ მოწყვლადობას, ასევე, მის უფლებას ჯანმრთელობასა და განათლებაზე. ბავშვის უფლებების კონვენცია

[12] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, „კონცეპტუალური შენიშვნა გოგონების/ქალების განათლების უფლებაზე ზოგადი რეკომენდაციის პროექტის შესახებ“ (2014).

[13] ბავშვის უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №14 (2013) ბავშვის უფლებაზე, რომ მისი საუკეთესო ინტერესები აღიარონ უმთავრესად.

ადასტურებს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს საგანმანათლებლო პოლიტიკისა და დებულებების საფუძველი. 7(3) მუხლი შემდგომ აყალიბებს, რომ შშმ ბავშვებს აქვთ უფლება, გამოხატონ საკუთარი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელსაც გავლენა აქვს მათზე, და რომ ამ შეხედულებებს უნდა მიეცეს სათანადო წონა, მათი ასაკისა და მოწიფულობის გათვალისწინებით და სხვა ბავშვების თანასწორად. ასევე, მათ უნდა გაეწიოთ ასაკის შესაფერისი დახმარება შეზღუდულ შესაძლებლობასთან მიმართებით. განათლებაში მონაწილეობის უფლება თანაბრად უნდა იყოს გარანტირებული ყველა შშმ ბავშვისათვის, კერძოდ: სწავლისა და ინდივიდუალური განათლების გეგმების მიხედვით, საკლასო პედაგოგიკის ფარგლებში, სასკოლო საბჭოების მეშვეობით, სკოლის პოლიტიკისა და სისტემების, ასევე, ფართო საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარებაში.[14]

48. მე-8 მუხლი მოუწოდებს ზომების მიღებას ცნობიერების ასამაღლებლად, ასევე, შშმ პირებთან დაკავშირებული სტერეოტიპების, ცრურწმენებისა და მავნებლური პოლიტიკის დასამარცხებლად. ამ საკითხთან მიმართებით, მე-8 მუხლი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს შშმ ქალებსა და ბავშვებს, ასევე პირებს, რომლებსაც აქვთ ინტელექტუალური დარღვევები და ესაჭიროებათ ინტენსიური დახმარება. სტერეოტიპები, ცრურწმენები და მავნე პრაქტიკა აყალიბებს ბარიერებს, რომლებიც ხელს უშლის წვდომას განათლებაზე და ეფექტიან სწავლას. კომიტეტი აღნიშნავს ზოგიერთი მშობლის პრაქტიკას, რომლებსაც თავიანთი შშმ ბავშვები გაჰყავთ ინკლუზიური სკოლებიდან, შეზღუდული შესაძლებლობის ბუნების არცოდნის გამო. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები მრავალფეროვანი კულტურის ასაშენებლად, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ჩართულობისათვის. ინკლუზიური განათლება მათ უნდა გამოყონ, როგორც ყველა სტუდენტის (შეზღუდული შესაძლებლობით თუ მათ გარეშე), მშობლის, მასწავლებლის, სკოლის ადმინისტრაციის, თემისა და საზოგადოების ხარისხიანი განათლების საშუალება. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ მექანიზმები განათლების ყველა საფეხურისთვის და მშობლებსა და ფართო საზოგადოებაში გააძლიერონ შშმ პირთა უფლებების პატივისცემის მიდგომა. სამოქალაქო საზოგადოება, კერძოდ, შშმ პირთა წარმომადგენელი ორგანიზაციები, უნდა ჩაერთონ ცნობიერების ამაღლების აქტივობებში.

49. მე-9 და 24-ე მუხლებს მჭიდროდ კავშირი აქვს ერთმანეთთან. მისაწვდომობა არის საზოგადოებაში შშმ პირთა სრული და თანასწორი მონაწილეობის წინაპირობა. ასეთი პირები ვერ შეძლებენ ეფექტიან სარგებლობას ინკლუზიური განათლების უფლებით, მისაწვდომი გარემოს, მათ შორის, სკოლებისა და სხვა საგანმანათლებლო ადგილების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მომსახურებების, ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე. მისაწვდომი უნდა იყოს სწავლების რეჟიმი, საშუალებები და გარემოც. მთლიანი სივრცე, სადაც შშმ სტუდენტები სწავლობენ, უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ინკლუზიას. ინკლუზიური განათლება ძლიერი ინსტრუმენტია მისაწვდომი და უნივერსალური დიზაინის შესაქმნელადაც.

[14] იქვე, ზოგადი კომენტარი №12 (2009) ბავშვის უფლებაზე, რომ მოუსმინონ.

50. კომიტეტი მხარე სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ ყურადღება მიაქციონ მის №1 (2014) ზოგად კომენტარს სამართლის თანასწორ სუბიექტად აღიარების შესახებ. იგი განმარტავს, რომ ინკლუზიური განათლება შშმ სტუდენტებს (კერძოდ, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური დარღვევების მქონე პირებს) აძლევს საშუალებას, გამოხატონ საკუთარი ნება და პრიორიტეტები. მონაწილე სახელმწიფოთა ძალისხმევით, ინკლუზიური განათლება ხელს უნდა უწყობდეს შშმ მსმენელებს, რომ გააძლიერონ საკუთარი შესაძლებლობები სამართლებრივი ქმედუნარიანობით სარგებლობისათვის. მათ სათანადო დახმარება უნდა გაეწიოთ განათლების ყველა საფეხურზე, მათ შორის, მოთხოვნის შემთხვევაში, შემცირდეს მხარდაჭერის მომავალში მიღების საჭიროება.

51. შშმ პირები, კერძოდ, ქალები და ბავშვები, შესაძლოა არაპროპორციულად გახდნენ ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი, მათ შორის, საგანმანათლებლო პერსონალის მხრიდან. ეს შეიძლება გამოიხატოს ფიზიკური და დამამცირებელი დასჯის (მაგ.: შეზღუდვების) გამოყენებით, მათი განცალკევებით, და დაბულინგებით სკოლისაკენ მიმავალ და უკან დასაბრუნებელ გზაზე. 16(2) მუხლის ასამოქმედებლად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა შშმ პირები დაიცვან ყველა ფორმის ექსპლუატაციის, ძალადობისა და სასტიკი მოპყრობისაგან და თავიდან აირიდონ მსგავსი შემთხვევები. ასეთი ზომები უნდა იყოს ასაკის, გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობის შესაბამისი. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს ბავშვის უფლებების, ადამიანის უფლებებისა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტთა რეკომენდაციებს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა სრულად აკრძალონ ფიზიკური დასჯა და სასტიკი, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობა ყველა დაწესებულებაში, მათ შორის, სკოლებში, და შესაბამისი სანქციები დააწესონ დამრღვევების მიმართ.[15] ის წაახალისებს სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ ჩართონ სტუდენტები - მათ შორის, შშმ პირები - ისეთ პროცესებში, როგორიცაა პოლიტიკის შემუშავება, ხელმისაწვდომი დაცვის მექანიზმების შექმნა, დისციპლინური ზომების მიღება და ბულინგისა თუ კიბერბულინგის დარეგულირება, რაც ზოგადად აღიარებულია სტუდენტებისა ბავშვების ცხოვრების მზარდ მახასიათებლად.

52. ინკლუზიური განათლება საჭიროებს შშმ პირთა უფლების აღიარებას, რომ იცხოვრონ თემში, ისარგებლონ ინკლუზიით და მონაწილეობა მიიღონ თემის ცხოვრებაში (მუხლი 19). ის ასევე მოითხოვს შშმ პირთა უფლების აღიარებას ოჯახურ ცხოვრებაზე ან, თუ ეს ვერ ხერხდება, საზოგადოებრივ დაწესებულებაში ალტერანტიულ მოვლაზე (მუხლი 23). სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ მყოფ ბავშვებს, რომლებიც ცხოვრობენ, მაგალითად, მიმღებ ოჯახებსა ან ბავშვთა სახლებში, უნდა ჰქონდეთ ინკლუზიური განათლების უფლება და შეეძლოთ სახელმწიფოს იმ გადაწყვეტილებათა გასაჩივრება, რომლებიც არ აძლევს მათ ამ უფლებას. ძალიან ბევრი შშმ პირი ცხოვრობს გრძელვადიან ინსტიტუციური მოვლის დაწესებულებებში, ისე, რომ არ აქვთ

[15] იქვე, იხ. ზოგადი კომენტარი №8 (2006) ბავშვის უფლებაზე ფიზიკური დასჯისა და დასჯის სხვა სასტიკი და დამამცირებელი ფორმებისაგან დაცვის შესახებ.

წვდომა თემზე დაფუძნებულ მომსახურებებზე, მათ შორის, განათლებაზე, რაც დამოკიდებულია, *inter alia*, ოჯახსა თუ თემში ცხოვრების, შეკრების, ძალადობისაგან დაცვისა და მართლმსაჯულების წვდომის უფლებაზე. ადგილობრივ თემში ინკლუზიური განათლება უნდა დაინერგოს სტრატეგიული ვალდებულების პარალელურად, რომ დასრულდეს შშმ პირთა დაწესებულებებში მოთავსება (იხ. პუნქტი 66 ქვემოთ). მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გამოკვეთონ ინკლუზიური განათლების როლი ყველა შშმ პირისათვის, კერძოდ, ადგილობრივ თემებში ცხოვრების, ასევე, თემებიდან სარგებლის მისაღებად საჭირო უნარებისა და კომპეტენციების შემუშავებაში.

53. ეფექტიანი ინკლუზიური განათლებისათვის, მონაწილე სახელმწიფოებმა შშმ პირები უნდა უზრუნველყონ ინდივიდუალური მობილურობითა და მაქსიმალური დამოუკიდებლობით (მუხლი 20). როცა ტრანსპორტი არ არის ხელმისაწვდომი და არ არსებობს პირადი დამხმარის საშუალება საგანმანათლებლო დაწესებულებამდე მისასვლელად, შშმ პირებს - განსაკუთრებით, უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ პირებს - შესაბამისი ტრენინგები უნდა ჩაუტარდეთ მობილობის უნარებში, მეტი დამოუკიდებლობის მისაღწევად. მონაწილე სახელმწიფოებმა შშმ პირებს უნდა მისცენ შესაძლებლობა, რომ მობილობის დამხმარე საშუალებები და აღჭურვილობა ხელმისაწვდომ ფასად მოიპოვონ.

54. შშმ პირთა უფლების განხორციელება, რომ დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ ჯანდაცვის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტებით (მუხლი 25), განათლებით სრულად სარგებლობის განუყოფელი ნაწილია. საგანმანათლებლო გარემოში დასწრებასა და ეფექტიან სწავლას სერიოზულად ეშლება ხელი, თუკი არ არსებობს წვდომა ჯანდაცვაზე, ან შესაბამის მოპყრობასა და მოვლაზე. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ ჯანმრთელობის, ჰიგიენისა და კვების პროგრამები, გენდერული პერსპექტივით, რომლებიც ინტეგრირდება განათლების მომსახურებაში და მოგვცემს ჯანმრთელობის საჭიროებათა მუდმივი მონიტორინგის საშუალებას. ასეთი პროგრამები უნდა შემუშავდეს უნივერსალური დიზაინისა და მისაწვდომობის პრინციპებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფდეს სასკოლო მედდის რეგულარულ ვიზიტებს, ჯანმრთელობის სკრინინგსა და თემის თანამშრომლობის განვითარებას. შშმ პირებმა სხვათა თანასწორად უნდა მიიღონ ასაკის შესაბამისი, ყოვლისმომცველი და ინკლუზიური სექსუალური განათლება, რომელიც ეფუძნება მეცნიერულ მტკიცებულებებსა და ადამიანის უფლებათა სტანდარტებს და მოწოდებულია მისაწვდომ ფორმატში.

55. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტიანი ზომები, რათა შეიმუშაონ აბილიტაციისა და რეაბილიტაციის პროგრამები საგანმანათლებლო სისტემაში, მათ შორის, ჯანდაცვის, ოკუპაციური, ფიზიკური, სოციალური, საკონსულტაციო და სხვა მომსახურების სფეროებში (მუხლი 26). ასეთი მომსახურებები უნდა დაიწყოს შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე, ეფუძნებოდეს სტუდენტის სიძლიერისა და მაქსიმალური დამოუკიდებლობის, ავტონომიის, ღირსების პატივისცემის, სრული ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და პროფესიული შესაძლებლობების მულტიდისციპლინურ შეფასებას, ასევე, სიცოცხლის ყველა ასპექტში ინკლუზიასა და მონაწილეობას.

კომიტეტი გამოყოფს თემზე დაფუძნებული რეაბილიტაციის მნიშვნელობას და წაახალისებს თანატოლების მხარდაჭერას.

56. ხარისხიანი ინკლუზიური განათლება შშმ პირებს უნდა ამზადებდეს ცხოვრებისა და მუშაობისათვის, ცოდნის, უნარებისა და ღია სამუშაო ბაზარზე ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ სამუშაო გარემოში ჩართულობისათვის (მუხლი 27).

57. პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში სრული მონაწილეობა გაუმჯობესდება ინკლუზიური განათლების უფლების რეალიზებით. საგანმანათლებლო პროგრამა ყველა სტუდენტისათვის უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოქალაქეობა, საკუთარი თავის დაცვა და წარმოდგენა, როგორც პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში მონაწილეობის საფუძველი. საზოგადოებრივი ურთიერთობები მოიცავს სტუდენტური ორგანიზაციების შექმნასა და მათში მონაწილეობას. მხარე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ისეთი გარემოს შექმნას, სადაც შშმ პირები შეძლებენ, ჩამოაყალიბონ, გაერთიანდნენ და ეფექტიანი მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ ორგანიზაციებში, მათ მიერ არჩეული კომუნიკაციის ფორმისა და ენის მეშვეობით (მუხლი 29).

58. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მოხსნან ბარიერები და ხელი შეუწყონ შშმ პირთა წვდომას ინკლუზიურ შესაძლებლობებზე, რათა სხვათა თანასწორად მიიღონ მონაწილეობა სკოლის თამაშებში, რეკრეაციულ, სპორტულ და ექსტრაკურიკულურ აქტივობებში, რაც მოიცავს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც (მუხლი 30). [16] საგანმანათლებლო გარემოში შესაბამისი ზომები უნდა გამოიყენებოდეს შშმ პირთა წვდომისათვის კულტურულ ცხოვრებაზე, ასევე, მათი კრეატიული, არტისტული და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოსაყენებლად, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ საზოგადოებრივი სარგებლისათვის. ასეთი ზომები შშმ პირებს უნდა აძლევდეს მათი სპეციფიკური კულტურული და ლინგვისტური იდენტობის, მაგალითად, ჟესტების ენის გამოყენების უფლებას.

V. იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე

59. კომიტეტმა განსაზღვრა მონაწილე სახელმწიფოთა წინაშე არსებული რამდენიმე გამოწვევა 24-ე მუხლის განხორციელებასთან დაკავშირებით. ყველა ადამიანისათვის ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის დასანერგად და შესანარჩუნებლად, აუცილებელია ზომების მიღება ეროვნულ დონეზე.

60. პასუხისმგებლობა ყველა დონის და ადამიანის განათლებაზე უნდა ეკისრებოდეს განათლების სამინისტროს. ბევრ ქვეყანაში შშმ პირთა განათლება მარგინალიზებულია სოციალური დახმარების ან ჯანმრთელობის სამინისტროებში. ამის შედეგია: მათი გარიყვა *inter alia* განათლების ჩვეულებრივი კანონმდებლობიდან, პოლიტიკიდან, დაგეგმარებიდან და რესურსებიდან; ინვესტირების დაბალი დონე შშმ პირთა განათლებაში;

[16] იქვე, ზოგადი კომენტარი №17 (2013) დასვენებაზე, გართობაზე, თამაშზე, რეკრეაციულ აქტივობებზე, კულტურულ ცხოვრებასა და ხელოვნებაზე ბავშვის უფლების შესახებ.

ძირითადი და შემდგომი სტრუქტურების მხარდაჭერის ნაკლებობა ინკლუზიის ხელშესაწყობად; ინტეგრირებული მონაცემთა ბაზების ნაკლებობა; და ინკლუზიური პედაგოგიური განათლების უგულებელყოფა. მონაწილე სახელმწიფოებმა სასწრაფოდ უნდა მიიღონ ზომები, რათა შშმ პირთა განათლება მოაქციონ განათლების სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში.

61. მონაწილე სახელმწიფოებმა მთელი მთავრობის მასშტაბით უნდა შეასრულონ ყოვლისმომცველი და ინტერსექტორული ვალდებულებები ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით. ასეთ განათლებას ვერ უზრუნველყოფენ იზოლირებული განათლების სამინისტროები. ყველა შესაბამისმა სამინისტრომ და კომისიამ, რომლებსაც ევალებათ კონვენციის არსებითი მუხლების დაფარვა, უნდა გაათანაბრონ ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის შედეგები, რათა მიაღწიონ ინტეგრირებულ მიდგომას და ითანამშრომლონ ერთიანი გეგმის შესამუშავებლად. პასუხისმგებლობის ზომები ყველა ჩართულმა სამინისტრომ უნდა მიიღოს ამგვარი ვალდებულებების შესასრულებლად. ასევე საჭიროა პარტნიორობა შემდეგ მხარეებთან: მომსახურების მიმწოდებლები, შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციები, მედია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ადგილობრივი ხელისუფლება, სტუდენტთა ასოციაციები და ფედერაციები, უნივერსიტეტები და მასწავლებელთა საგანმანათლებლო კოლეჯები.

62. მონაწილე სახელმწიფოებმა ყველა დონეზე უნდა დანერგონ და წარმოადგინონ კანონმდებლობა, რომელიც დაეყრდნობა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ შეზღუდული შესაძლებლობის მოდელს და სრულად შეესაბამება 24-ე მუხლს. კომიტეტი აუქმებს 4(5) მუხლს, რომლის მიხედვითაც, „წინამდებარე კონვენციის დებულებები ვრცელდება ნებისმიერი ფედერალური სახელმწიფოს ყველა ერთეულში, ყოველგვარი შეზღუდვისა და გამონაკლისის გარეშე“.

63. მათ განსახორციელებლად უნდა წარმოადგინონ ინკლუზიური განათლების ყოვლისმომცველი და კოორდინირებული საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩო, ასევე, სანქციები დარღვევებისათვის. ასეთი ჩარჩო უნდა ეხებოდეს მოქნილობის, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის საკითხებს ყველა მსმენელისათვის და ყველა სასწავლო დაწესებულებაში, ასევე, განსაზღვრავდეს პასუხისმგებლობას ხელისუფლების ყველა დონეზე. საკვანძო ელემენტები უნდა მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს:

(a) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;

(b) ინკლუზიის მკაფიო განმარტება და ის კონკრეტული მიზნები, რომელთა მიღწევაც მას სურს განათლების ყველა საფეხურზე. ინკლუზიური პრინციპები და პრაქტიკა გასათვალისწინებელია, როგორც ერთიანი რეფორმა, და არა როგორც დამატებითი პროგრამა;

(c) ინკლუზიური განათლების უფლება, როგორც სამართლებრივი ჩარჩოს საკვანძო ელემენტი. დებულებები, რომლებიც სტუდენტთა კონკრეტულ კატეგორიებს განსაზღვრავს, როგორც „განათლების ვერ მიმღებებს“, უნდა გაუქმდეს;

(d) გარანტია, რომ ინდივიდუალურ მსმენელებსა და სტუდენტებს, შეზღუდული თუ შეუზღუდავი შესაძლებლობებით, თანაბრი წვდომა ექნებათ ინკლუზიურ შესაძლებლობებზე ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში, ასევე, აუცილებელი მხარდაჭერის სერვისებზე ყველა დონეზე;

(e) მოთხოვნა, რომ ყველა ახალი სკოლა დაგეგმარდება და აშენდება უნივერსალური დიზაინის პრინციპებისა და კონკრეტული ვადების დაცვით, ასევე, კომიტეტის №2 ზოგადი კომენტარის შესაბამისად, რათა მოხდეს არსებული სკოლების ადაპტაცია. ამ ელემენტის განსახორციელებლად რეკომენდებულია საჯარო შესყიდვების გამოყენება;

(f) ინკლუზიური განათლებისათვის, ყოვლისმომცველი ხარისხის სტანდარტებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება, რათა ყველა დონეზე გაკონტროლდეს შესაბამისი პროგრესი, ხოლო პოლიტიკა და პროგრამები განხორციელდეს და გამყარდეს საჭირო ინვესტიციებით;

(g) მონიტორინგის მისაწვდომი მექანიზმების შექმნა პოლიტიკისა და საჭირო ინვესტიციების განსახორციელებლად;

(h) გონივრული მისადაგების აღიარება ინკლუზიის მხარდასაჭერად, არა რესურსების ეფექტიანად გამოყენების, არამედ ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად; გონივრული მისადაგების მიუწვდომლობისათვის სანქციების დაწესება;

(i) ყველა კანონმდებლობაში, რომლებსაც გავლენა აქვს ინკლუზიურ განათლებაზე, ინკლუზიის მკაფიოდ განსაზღვრა კონკრეტულ მიზნად;

(j) თანმიმდევრული ჩარჩო ადრეული იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მხარდაჭერისათვის, რაც სჭირდებათ შშმ პირებს, რომ განვითარდნენ ინკლუზიურ სასწავლო გარემოში;

(k) ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულება, რომ ინკლუზიურ დაწესებულებებსა და კლასებში თითოეული მსმენელისა და შშმ პირისთვის დაგეგმონ და უზრუნველყონ კომუნიკაციის მისაწვდომი ფორმატები და საშუალებები, მათ შორის, ყველაზე შესაფერის ენაზე.

(l) კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ყველა შშმ პირის - მათ შორის, ბავშვების - ხმა ისმოდეს და მათ შეხედულებებს სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდნენ საგანმანათლებო სისტემაში. აქ იგულისხმებიან სკოლის მრჩევლები და ადგილობრივი თუ ეროვნული სახელისუფლებო ორგანოები. უნდა შეიქმნას ისეთი მექანიზმებიც, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გაპროტესტება;

(m) პარტნიორობის ჩამოყალიბება და კოორდინაცია შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს შორის: შშმ პირები, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით; სხვადასხვა სააგენტოები; განვითარებაზე ორიენტირებული და არასამთავრობო ორგანიზაციები; მშობლები ან მომვლელები.

64. კანონმდებლობას ხელს უნდა უწყობდეს საგანმანათლებლო სექტორის გეგმა, რომელიც შემუშავდება შშმ პირების, მათ შორის, ბავშვების

ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ამ გეგმამ დეტალურად უნდა განსაზღვროს ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის დანერგვის პროცესი. ის უნდა მოიცავდეს ვადას და გაზომვად მიზნებს, მათ შორის, ზომებს შესაბამისობისათვის. გეგმა უნდა დაეყრდნოს ინკლუზიური განათლების არსებული კონტექსტის ყოვლისმომცველ ანალიზს. ეს საწყისი ეტაპისათვის უზრუნველყოფს მონაცემებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ბიუჯეტის მიმდინარე განაწილება, მონაცემთა შეგროვების მეთოდები, სკოლის გარეთ შშმ ბავშვების რაოდენობა, გამოწვევები და ბარიერები, არსებული კანონები და პოლიტიკა, შშმ პირთა უმთავრესი პრობლემები, ოჯახები და სახელმწიფო მხარეები.

65. განათლების უფლების დარღვევის შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა წარმოადგინონ დამოუკიდებელი, ეფექტიანი, მისაწვდომი, გამჭვირვალე და აღსრულებადი გასაჩივრების მექანიზმები და სამართლებრივი საშუალებები. შშმ პირებს უნდა ჰქონდეთ წვდომა მართლმსაჯულების ისეთ სისტემებზე, რომლებსაც ესმით, როგორ უნდა მოერგონ შშმ პირებს და შეუძლიათ შეზღუდულ შესაძლებლობაზე დაფუძნებული საჩივრების განხილვა. მონაწილე სახელმწიფოთა ძალისხმევით, ინფორმაცია განათლების უფლების შესახებ, ასევე, მის დარღვევებთან შეწინააღმდეგების გზები, ფართოდ უნდა გავრცელდეს და ეცნობოთ შშმ პირებსაც, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ჩართულობით.

66. ინკლუზიური განათლება შეუთავსებელია ინსტიტუციონალიზაციასთან. მონაწილე სახელმწიფოები უნდა ჩაერთონ შშმ პირთა დეინსტიტუციონალიზაციის კარგად დაგეგმილ და სტრუქტურირებულ პროცესში. ასეთი პროცესი უნდა მიემართებოდეს შემდეგ ასპექტებს: მართული გადასვლა, შესაბამისი დროის განსაზღვრით; საკანონმდებლო მოთხოვნის წარმოდგენა თემზე დაფუძნებული დებულების შესამუშავებლად; თანხების ხელახალი მიმართვა; მულტიდისციპლინური ჩარჩოების შემუშავება სათემო მომსახურებათა მხარდასაჭერად და გასაძლიერებლად; ოჯახების დახმარება; და თანამშრომლობა შშმ პირების, მათ შორის, ბავშვების წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან, მშობლებსა და მომვლელებთან. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მოლოდინში ინსტიტუციურ დაწესებულებებში მყოფ პირებს უნდა ჰქონდეთ დაუყოვნებელი წვდომა ინკლუზიურ განათლებაზე, რაც უნდა მოხერხდეს მათი დაკავშირებით თემში არსებულ ინკლუზიურ ინსტიტუტებთან.

67. ადრეული ჩარევები შესაძლებელია განსაკუთრებით ღირებული აღმოჩნდეს შშმ ბავშვებისათვის. ეს ხელს უწყობს განათლებიდან მიღებული სარგებლის გაძლიერებას, ასევე, მათ ჩარიცხვასა და ჩართულობას. ყველა ასეთ ჩარევა უნდა იძლეოდეს ბავშვის ღირსებისა და ავტონომიის გარანტიას. 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის, კერძოდ, მე-4 მიზნის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ: წვდომა ბავშვთა ხარისხიან ადრეულ განვითარებაზე, მზრუნველობასა და სკოლამდელ განათლებაზე; ასევე, ტრენინგები და მხარდაჭერა შშმ ბავშვების მშობლებისა და მომვლელებისათვის. დროული იდენტიფიცირებისა და მხარდაჭერის შემთხვევაში, შშმ ბავშვები უფრო მარტივად შეძლებენ სკოლამდელი და სასკოლო განათლების ინკლუზიურ დაწესებულებებში გადასვლას. მონაწილე

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კოორდინაცია ყველა შესაბამის სამინისტროს, ხელისუფლების ორგანოს, ასევე, შშმ პირთა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.

68. 31-ე მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეაგროვონ შესაბამისად დახარისხებული მონაცემები პოლიტიკის, გეგმებისა და პროგრამების ჩამოყალიბებისათვის, რათა შეასრულონ 24-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები. მათ უნდა უზრუნველყონ ხარისხიანი კვლევები, ზუსტი მონაცემები სხვადასხვა დარღვევის მქონე პირთა სიჭარბეზე, გონივრული მისადაგება განათლებაში, და აღმოფხვრან ისეთი პრობლემები, როგორიცაა შესაბამისი შედეგების ხელმისაწვდომობა, მუდმივობა და პროგრესთან დაკავშირებული მონაცემების ნაკლებობა. მოსახლეობის აღწერა, კვლევა და ადმინისტრაციული მონაცემები, მათ შორის, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ისეთ შშმ სტუდენტებზეც, რომლებიც კვლავ ინსტიტუციურ დაწესებულებებში ცხოვრობენ. მონაწილე სახელმწიფოებმა მონაცემები და მტკიცებულებები უნდა მოაგროვონ იმ ბარიერებზეც, რომლებიც ხელს უშლის შშმ პირებს, რომ ჰქონდეთ წვდომა, დარჩნენ ხარისხიანი ინკლუზიური განათლების სისტემაში და მიაღწიონ პროგრესს. ეს საჭიროა მსგავსი ბარიერების აღმოსაფხვრელი ეფექტიანი ზომების მისაღებად. უნდა შემუშავდეს სტრატეგიები ისეთ პრობლემასთან გასამკლავებლადაც, როგორიცაა შშმ პირთა გარიყვა სტანდარტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეგროვების მექანიზმებიდან, მათ შორის, დაბადების რეგისტრაციის არარსებობის, ინსტიტუტებში უხილავობის ან იმ მშობლების მიზეზით, რომლებიც არ აღიარებენ შშმ ბავშვის არსებობას.

69. მონაწილე სახელმწიფოებმა საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსები უნდა უზრუნველყონ საგანმანათლებლო სექტორისა და სექტორთაშორისი გეგმების შემუშავებისას ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისათვის, პროგრესირებადი განხორციელების პრინციპის შესაბამისად. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ სახელისუფლებო სისტემებისა და ფინანსური მექანიზმების რეფორმა, რათა ყველა შშმ პირს ჰქონდეს განათლების უფლება. მათ ბიუჯეტები უნდა გაანაწილონ საჯარო შესყიდვების პროცესში არსებული მექანიზმების გამოყენებითა და კერძო სექტორში თანამშრომლობით. ეს ასიგნებები უნდა იყოს პრიორიტეტული და უზრუნველყოფდეს *inter alia* ადეკვატურ რესურსებს, რათა დროულად მოხდეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეფორმირება მათი მისაწვდომობისათვის. საამისოდ საჭიროა: ინვესტირება ინკლუზიური მასწავლებლების განათლებაში; გონივრული მისადაგება; მისაწვდომი ტრანსპორტის უზრუნველყოფა სკოლამდე; შესაბამისი და მისაწვდომი სახელმძღვანელოების, სასწავლო და სამეცადინო მასალების მომზადება; დამხმარე ტექნოლოგიებისა და ჟესტების ენის უზრუნველყოფა; ცნობიერების ასამაღლებელი ინიციატივების განხორციელება სტიგმისა და დისკრიმინაციის, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბულინგის დასარეგულირებლად.

70. კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებს რესურსების სეგრეგირებული გარემოებებიდან ინკლუზიურ გარემოებებში გადასვლას. მათ უნდა შეიმუშაონ დაფინანსების მოდელი, რომელიც რესურსებსა და

წამახალისებელ ზომებს გადაანაწილებს ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოზე, შშმ პირებისათვის სათანადო დახმარების გასაწევად.

71. უნდა შემუშავდეს სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო, სკოლისშემდგომი და პროფესიული განათლების დონეები, რათა მათ ჰქონდეთ ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოში სამუშაოდ აუცილებელი კომპეტენციები და ღირებულებები. ასეთი პროცესი საჭიროებს მომსახურებამდე და მომსახურებისას ჩატარებული ტრენინგების ადაპტაციას უმოკლეს პერიოდში ინკლუზიურ საგანმანათლებლო სისტემაზე გადასვლისათვის. ყველა მასწავლებელი უნდა უზრუნველყონ შესაბამისი მოდულებით, რათა ისინი მოამზადონ ინკლუზიურ, ასევე, პრაქტიკულ ექსპერიმენტულ დაწესებულებებში სამუშაოდ. ასეთ დაწესებულებებში ისინი შეძლებენ უნარებისა და თავდაჯერებულობის გაუმჯობესებას, რაც საჭიროა მრავალფეროვანი ინკლუზიის გამოწვევებთან გასამკლავებლად. მასწავლებელთა განათლება უმთავრესად უნდა მიემართებოდეს ადამიანთა მრავალფეროვნების, ზრდისა და განვითარების, ასევე, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული შეზღუდული შესაძლებლობის მოდელისა და ინკლუზიური პედაგოგიკის ძირეულ გაგებას. ეს მათ საშუალებას მისცემს, განსაზღვრონ სტუდენტთა ფუნქციური შესაძლებლობები (სიძლიერე, პოტენციალი და სწავლის სტილი) და ისინი ჩართონ ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოში. მასწავლებლებმა უნდა ისწავლონ შესაბამისი დამხმარე თუ ალტერნატიული რეჟიმების, საშუალებებისა და ფორმატების გამოყენებაც (მაგ.: ბრაილი, დიდი ზომის შრიფტი, მისაწვდომი მულტიმედია, მარტივი წაკითხვა, მარტივი ენა, ჟესტების ენა, საგანმანათლებლო ტექნიკა, მასალები შშმ პირთა დასახმარებლად). გარდა ამისა, მასწავლებლებს პრაქტიკული ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა სჭირდებათ ინდივიდუალიზებული ინსტრუქციების შესამუშავებლად. ეს საჭიროა ისეთი მიზნებისათვის, როგორიცაა სხვადასხვა მეთოდის გამოყენება ერთი და იმავე მასალის სასწავლებლად, პასუხის გაცემა თითოეული პირის სასწავლო და უნიკალური შესაძლებლობებისათვის, ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმების განვითარება და გამოყენება სპეციფიკური სასწავლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სტუდენტთა საგანმანათლებლო მიზნებზე ფოკუსირებული პედაგოგიკის ჩამოყალიბება და ა.შ.

72. ინკლუზიური განათლება საჭიროებს მხარდაჭერისა და რესურსების სისტემას ყველა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასეთი სისტემა შეიძლება მოიცავდეს პარტნიორობას მონათესავე საგანმანათლებლო დაწესებულებებს, მათ შორის, უნივერსიტეტებს შორის, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობით პრაქტიკას, ჯგუფურ სწავლებას, სასწავლო ჯგუფების ჩამოყალიბებას, სტუდენტთან ერთად შეფასებას, თანატოლთა მხარდაჭერასა და გაცვლით ვიზიტებს, აგრეთვე, თანამშრომლობას სამოქალაქო საზოგადოებასთან. შშმ სტუდენტთა მშობლები და მომვლელები შეიძლება იყვნენ პარტნიორებიც სასწავლო პროგრამების, მათ შორის, ინდივიდუალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დანერგვაში. მათ შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ისეთ საკითხში, როგორიცაა მასწავლებლებისათვის რჩევების მიცემა და მათი დახმარება ინდივიდუალურ სტუდენტთა მხარდაჭერაში. მონაწილე

სახელმწიფოებმა პედაგოგთა მხარდასაჭერად უნდა გამოიყენონ ყველა ხელმისაწვდომი საშუალება, მათ შორის, შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციები და ადგილობრივი თემის ის წევრები, რომლებსაც შეუძლიათ წვლილის შეტანა თანატოლთა მონიტორინგით, პარტნიორობითა და პრობლემების გადაჭრით. მათი ჩართულობა უზრუნველყოფს დამატებით რესურსს კლასში, ასევე, ხელს უწყობს ადგილობრივ თემებთან კავშირების დამყარებას ბარიერების მოშორებითა და მასწავლებელთა გარდაქმნით, რათა უფრო გაძლიერდნენ შშმ სტუდენტთა მოთხოვნებზე საპასუხოდ.

73. ხელისუფლებას ყველა დონეზე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ვალდებულება და რესურსები, რომ დანერგოს ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი კანონები, პოლიტიკა და პროგრამები. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ ტრენინგები ყველა ხელისუფლებისათვის, რათა ინფორმაცია მიაწოდონ მათთვის კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებლობებზე და გაზარდონ შშმ პირთა უფლებების ცნობადობა. ინკლუზიური საგანმანათლებლო პოლიტიკისა და პრაქტიკის განსახორციელებლად საჭირო უნარები, ცოდნა და გაგება მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ინკლუზიური განათლების უფლების კონცეფციისა და მიზნების გააზრება; შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცოდნა; ადგილობრივი ინკლუზიური საგანმანათლებლო გეგმების შემუშავება; თანამშრომლობა და პარტნიორობა; მხარდაჭერა; ხელმძღვანელობა; ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ზედამხედველობა, მონიტორინგი და შეფასებები.

74. ხარისხიანი ინკლუზიური განათლება საჭიროებს სტუდენტთა პროგრესის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდებს, რომლებიც გაითვალისწინებს შშმ პირთა წინაშე არსებულ ბარიერებს. შეფასების ტრადიციული სისტემები, რომლებიც წარმატების ინდიკატორად იყენებს ტრადიციული მიღწევების ტესტის ქულებს, შესაძლოა არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდეს შშმ სტუდენტებს. აქცენტი უნდა გაკეთდეს ფართო მიზნების მიღწევის ინდივიდუალურ პროგრესზე. შესაბამისი სასწავლო მეთოდოლოგიებით, მხარდაჭერითა და მისადაგებით შესაძლებელია ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მორგება თითოეული სტუდენტის, მათ შორის, შშმ პირის საჭიროებებზე. სტუდენტთა შეფასების ინკლუზიური სისტემები შესაძლოა გაძლიერდეს ინდივიდუალიზებული მხარდაჭერის სისტემებით.

75. 33-ე მუხლის შესაბამისად, ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბების მეშვეობით, განათლებაზე უფლებით სარგებლობის პროგრესის გასაზომად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ მონიტორინგის ჩარჩოები, *სტრუქტურული, პროცესისა* და *შედეგების ინდიკატორებით*, და კონკრეტული მიზნებით თითოეული ინდიკატორისათვის (მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი).[17] შშმ პირები, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით, უნდა ჩაერთონ ინდიკატორების შემუშავებასა და მონაცემებისა თუ სტატისტიკის შეგროვებაში. *სტრუქტურული ინდიკატორები* უნდა ზომავდეს ინკლუზიური განათლების ბარიერებს და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ დარღვევების შესაბამისად დანაწილებული

[17] გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, *ადამიანის უფლებების ინდიკატორები: საზომისა და განხორციელების გზამკვლევი* (ნიუ იორკი და ჟენევა, 2012).

მონაცემების შეგროვებით. *პროცესის ინდიკატორები,* როგორიცაა ფიზიკური გარემოს მისადაგების ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტაცია ან მასწავლებელთა ტრენინგი, შესაძლებელს გახდის მონიტორინგს გარდაქმნის პროგრესზე. უნდა ჩამოყალიბდეს *შედეგების ინდიკატორებიც:* მაგალითად, იმ შშმ პირთა პროცენტული მაჩვენებლები ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოებებში, რომლებმაც მიიღეს საბოლოო ოფიციალური სერტიფიკატები ან დიპლომები, ანდა დაიშვნენ საშუალო განათლებაზე. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ განათლების ხარისხის გაზომვაც, მაგალითად, UNESCO-ს მიერ რეკომენდებული 5 საზომით: უფლებების, თანასწორობის, შესაბამისობის, ეფექტიანობისა და ქმედითობის პატივისცემა. შესაძლებელია, გაითვალისწინონ მონიტორინგი ისეთ პოზიტიურ ღონისძიებებზეც, როგორიცაა კვოტები ან წახალისება.

76. კომიტეტი აღნიშნავს კერძო სექტორული განათლების ზრდას ბევრ ქვეყანაში. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ ინკლუზიური განათლების უფლება მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ უზრუნველყოფილ, არამედ ყველა სახის განათლებას. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომლებიც იცავს მესამე მხარეების, მათ შორის, კერძო სექტორის მიერ უფლებათა დარღვევისაგან. განათლების უფლებასთან დაკავშირებით, ასეთი ზომები უნდა მიემართებოდეს ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის ვალდებულებას და, საჭიროების შესაბამისად, მოიცავდეს კანონმდებლობასა და რეგულირებას, მონიტორინგს, ზედამხედველობას, პოლიტიკის ამოქმედებასა და მიღებას შშმ პირთა უფლებების ეფექტიანი და სრული რეალიზებისათვის. საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის, კერძო ინსტიტუტები და საწარმოები, არ უნდა აწესებდნენ დამატებით გადასახადს მისაწვდომობის ინტეგრირებისა და/ან გონივრული მისადაგებისათვის.